სერია „აჭარა უცხოელთა თვალით“

ნ. მ. დაკიშევიჩი

# ბათუმი

წიგნი თარგმნა, წინასიტყვაობა,
შენიშვნები და საძიებლები დაურთო
**რამაზ სურმანიძემ**

ბათუმი
2011

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

# Батумъ

Составителъ Н.М. Дакишевичъ

Тифлисъ, дозволено цензурою, 23 февраля
1890 года

Тифлисъ
Типография Е. Хеладзе. Саперная ул. собст. дом №4
1890

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ.მ. დაკიშევიჩის ნაშრომი, „ბათუმი“, 1890 წელს თბილისში დაიბეჭდა. ეს იყო ერთ-ერთი პირველი მეცნიერული ნარკვევი, რომელიც ახლად გათავისუფლებულ საპორტო ქალაქს მიეძღვნა. ამიტომ იმთავითვე სამეცნიერო წრეების ყურადღება მიიპყრო. წიგნში არსებული მრავალი შეცდომა-შეუსაბამობის მიუხედავად, მისი ქართულად თარგმნა მნიშვნელოვანია, თუნდაც იმიტომ, რომ თან ერთვის შენიშვნები, რაც ქართველ ავტორებს თავიდან აცილებს მცდარი დასკვნების გაკეთებას.

წიგნის ერთ-ერთ ღირსებად მიმაჩნია იმ ქვეყნების ჩამონათვალი, სადაც ბათუმიდან გადიოდა და საიდანაც შემოდიოდა სხვადასხვა სახის საქონელი; ქალაქის გათავისუფლებიდან სულ რაღაც 10 წლის განმავლობაში ბათუმის პორტთან საქონლის გაცვლის ურთიერთობა დაამყარა მსოფლიოს რამდენიმე ათეულმა ქვეყანამ, რაც შესაძლოა დღევანდელობის მაგალითადაც გამოდგეს.

რედაქტორი **ოთარ გოგოლიშვილი**

წიგნი გამოდის სერიით „აჭარა უცხოელთა თვალით“ და იბეჭდება აჭარის არ მთავრობის განკარგულებით. უახლოეს მომავალში ამავე სერიით გამოვა ა.ს. ფრენკელის წიგნის, Очерки Чурук-су и Батума, ქართული თარგმანი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი მეცნიერული ღირებულებით არ გამოირჩევა. ბევრი რამ ტენდენციურადაა წარმოდგენილი, აშკარად იგრძნობა იმპერიული პოლიტიკის გავლენა. ამის მიუხედავად ჩვენ საჭიროდ ვცანით ამ ბროშურის თარგმნა, რათა იგი მისაწვდომი გახდეს ქართველი მკითხველისათვის. ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ მისი გამოსვლიდან 120 წლის განმავლობაში, თითქმის ყველა მეცნიერი, ვინც ბათუმის ისტორიას შეეხო, სარგებლობს ამ ნაშრომით და სამწუხაროდ, ზოგჯერ იმეორებს ნ. დაკიშევიჩის ნებით თუ უნებლიედ დაშვებულ შეცდომებს. ამიტომ აუცილებლად ჩავთვალეთ წიგნზე შენიშვნების დართვაც.

ბუნებრივია, წიგნის თარგმანისა და გამოცემის სურვილი ოდენ ავტორის შეცდომებით არაა გამოწვეული. ამ პატარა ნაშრომში მრავლადაა უცხო თვალით დანახული პატარა ქალაქი, მისი ისტორია, ღირსება-ნაკლოვანებები, გეოგრაფიული აღწერილობა, ბუნებრივი სიმდიდრეები, ფლორა, ფაუნა, ქალაქის საკურორტო და ტურისტული მომავალი.

ნ. დაკიშევიჩი ვრცლად სარგებლობს სტატისტიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით, რაც უეჭველია, მან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფიციალური სახელმწიფო უწყებიდან მიიღო. ამიტომ ეს მონაცემები, ჩვენის აზრით რეალურ ფაქტებს ასახავენ. ასეთია: მიწათმფლობელობის ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი სისტემა, მიწის ფასები, ბათუმისექსპორტ-იმპორტი, კომერციული კომპანიების ჩამონათვალი და ა.შ.

სადავო საკითხების კრიტიკული განხილვის შემდეგ მეცნიერ-ისტორიკოსების და მკითხველთა ფართო წრე ამ წიგნში რამდენიმე სხვა საინტერესო მასალასაც გაეცნობა.

ავტორს წიგნში სურათები არ შეუტანია. ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ტექსტებში იმდროინდელი ბათუმის ფოტოების ჩართვა, რაც, ჩვენი აზრით, მკითხველს დაეხმარება ავტორის მოსაზრებათა აღქმაში.

სურვილი გვქონდა მკითხველისათვის ავტორის მოკლე ბიოგრაფიაც მიგვეწოდებინა, მაგრამ ვერც ქართულ, ვერც რუსულ და ვერც სხვა უცხოურ ცნობარლექსიკონებსა და ინტერნეტში ნ.მ. დაკიშევიჩის შესახებ ვერაფერი აღმოვაჩინეთ.

***მთარგმნელი***

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# ბათუმი

ქალაქი ბათუმი მდებარეობს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ჩრდ. განედის 41038,30 და აღმ. გრძედის 410,35,15-ზე.[1]

ქალაქის ორივე სქესის მოსახლეობის რიცხვი, კერძო[2] ცნობებით 15400 უდრის და იგი რუსეთის ქვეშევრდომებისა და უცხოელებისაგან არის შედგენილი.

| რუსეთის ქვეშევრდომები | უცხოელები |
|---|---|
| რუსები დაახლ. 2330 | თურქეთის ქვეშევრდომი 3000-მდე |
| ქართველები: გურულები, იმერლები, მეგრელები[1*)] 4620 | საბერძნეთის ქვეშევრდომი 174-მდე |
| სომხები 1700 | სპარსეთის ქვეშევრდომი 600-მდე |
| ებრაელები (რუს. და კავკ.) 530 | ავსტრო-უნგრელი 40 |
| ბერძნები დაახლ. 510 | იტალიის ქვეშევრდომი 40 |
| სპარსელები 100 | საფრანგეთის ქვეშევრდომი 30 |
| თურქები 530[2)] | გერმანიის ქვეშევრდომი 25 |
| არაბები და აფხაზები 80 | ჰოლანდიის 10 |
| ქალაქის განაპირას ხოლოდნაია სლობოდასა და ბარცხანაში მცხოვრები მუშები 1054-მდე | შვედები, ნორვეგიელები, დანიელები 7-მდე |
| | დიდი ბრიტანელები 6-მდე |
| | ჩრდილო ამერიკა და აშშ 2 |
| | ბელგიელები 2 |

1 ბათუმის მეტეოროლოგიური სადგურის შუქურას მონაცემებით.

2 1877 წელს ირიცხებოდა 2500 სული, ხოლო 1881 წ. 8500-მდე. დღეისათვის მოსახლეობა ძირითადად მუშები არიან.

* ფრჩხილით შემოსაზღვრულია მთარგმნელის, ხოლო დანარჩენი ციფრებით ავტორის შენიშვნები.



**ბათუმის შუქურა**
აშენდა 1965 წ. გადაკეთდა 1883წ.

ქალაქი დაყოფილია ოთხ საპოლიციო უბნად: პირველია აზიზიე, რომელიც მთავარ მეჩეთსაც[3*)] ჰქვია. მეორე უბანია ახმედიე. ამ უბნებში მდებარეობს: შუქურა, სამაშველო სადგური (გაიხსნა 1889 წელს), საბანაო, ბეღლები და საწყობები; საკარანტინო, მთავარი და სახომალდო საბაჟო, რკინიგზის დროებითი სამგზავრო სადგური; ყველა ეკლესია, კანტორები, სააგენტოები, სასტუმროები, ყავახანები, ოსმალური ბაზარი და მაღაზიები.

[3] ეს მეჩეთი 1868 წელს ააგო ვალიდე სულთან ხანუმმა თავისი ვაჟის სულთან აბდულ აზიზის პატივსაცემად.

ელექტრონული ბიბლიოთეკა





**ბათუმის საბაჟო** (აშენდა 1887 წ. დაინგრა 1997 წ.)
**და რკინიგზის პირველი სადგური**

ადრე დილიდანვე ამ უბნებში მთელი სანაპირო ივსება მუშებით, რომლებიც გემიდან ნაპირზე და ნაპირიდან გემზე საქონლის გადატვირთვით არიან დაკავებულნი. საერთოდ, სანაპიროს ეს ზოლი, სადაც დროებით განლაგებულია ნავმისადგომი, მთავარი საბაჟო და ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსეთის საზოგადოების სააგენტო, ქალაქის ყველაზე მეტად გამოცოცხლებული ნაწილია. მუშათა გადაძახილები, გზის გრუხუნი, ორთქლმავლებისა და თბომავლების სტვენა და ზვირთების თქაფუნი – ეს ყველაფერი ერთ საერთო გუგუნშია შერეული.

მთავარი საბაჟოს მახლობლად სანაპიროზე განლაგებულია რამდენიმე ყავახანა. ერთ-ერთი მათგანი უმრავლესობის საყვარელი ადგილია. აქ მთელი დღე ერთმანეთს ხვდებიან მენარდეები, ვექილების დაბალი

ფენა და სხვ. ამ ყავახანებში ჭიქა ჩაიზე და ფინჯან ყავაზე წყდება, შესაძლოა შემთხვევით, სასიცოცხლო საკითხები და ზოგჯერ საზოგადო საქმეებიც კი. მრავალი პიროვნებისა და მეოჯახისათვისაც დომინოს და ნარდის ყოველდღიური თამაში საყოველთაოდ მიღებულ ყველა გართობას ცვლის.

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა აცალკევებს ადგილს „ნურიეს“ (ეს სახელი შეერქვა აქაური დიდკაცობის წარმომადგენლის ნური-ბეგის საპატივცემულოდ)[4]. ქალაქის ამ სრულიად ახალ ნაწილში ქუჩები ფართო და გამწვანებულია. ზღვის სანაპიროზე გადაჭიმულია მემკვიდრე უფლისწულის ბულვარი[1],



**ნური-ბეგ ხიმშიაშვილის (შემდეგ გრიგოლ ვოლსკის) სახლი ბათუმში, ქართველ მოღვაწეთა შეკრების ადგილი**

1 იხ. ჩემს მიერ შედგენილი და 1889 წ. გამოცემული ბათუმის რუკა.



**ნური-ბეგ ხიმშიაშვილი** (1835-1907)

რომელიც ყოველწლიურად მშვენიერდება. კოხტად დარგული ხეები სწრაფად იზრდება, ფართო ხეივნები ხშირად მოსეირნეებს ძლივს იტევს, განსაკუთრებით ზაფხულობით. წყნარი და უღრუბლო საღამოების დროს, მრავალი ადამიანი მზის დიდებული ჩასვენების სურათის ხილვით ტკბება.

„ნურიის" ცენტრში, მოედანზე მდებარეობს ბაზარი, აქვე მახლობლად პეტერბურგის ქუჩაზე შენდება ამიერკავკასიის რკინიგზის ვაგზალი.[5)]

საერთოდ მთელი ქალაქის საცხოვრებელი სახლები ახლად აშენებულია, თუმცა ღარიბული ფასადებით, მაგრამ ევროპულ ყაიდაზე. ლამაზი არქიტექტურული შენობები, სამწუხაროდ, არ გვხდება.

[1] იხ. ჩემს მიერ შედგენილი და 1889 წელს გამოცემული ბათუმის რუკა.



**ნურიის ბაზარი**
(ამჟამინდელი ხელოვნების მუზეუმის ტერიტორია

მარიას პროსპექტის ბოლოს მდებარეობს ალექსანდრეს საზოგადოებრივი ბაღი[1], რომელიც გაშენებულია მებაღე დალფონსის გეგმით და ხელმძღვანელობით. ბაღის მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს: მაგნოლია, არაოკარია და ორი ჰიმალაის კედარი, რომლებიც თავისი ხელით დარგეს იმპერატორმა ალექსანდრე III-მ, იმპერატრიცა მარია ფედოროვნამ, მემკვიდრე უფლისწულმა ნიკოლოზ ალექსანდრეს ძემ და დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ 1888 წლის 25 სექტემბერს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის და მისი უავგუსტოესი ოჯახის ბათუმში გავლით ყოფნის დროს.

მეოთხე საპოლიციო უბანი მოიცავს ადგილებს: „მუფტი-მეჰელესი“ (უმაღლესი მოსამართლე), ლიმანმეჰელეს ნაწილი (ეწერლული) და ბარცხანა. დევრიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ბათუმი, ალექსანდრეს ბაღი** (ნურიის ტბა)
ახლადკულტივირებული ფლორა

ფაშის გზამდე[6)] ამ უბნის ნაწილი უკავია ფარდულებს, ხე-ტყის საწყობებს და ბინების მშენებლობებს, მეორე ნახევარი კი, რომელიც მდინარე ბარცხანამდე ზღვას ეკვრის, დაკავებულია ამიერკავკასიის რკინიგზის საბარგო სადგურით, ნავთობის ქარხნებითა და საწყობებით.[1] ქარხნებთან არის სხვადასხვა ფაბრიკა და სახელოსნო, ხოლო ნავთობპროდუქტების შესანახად მოწყობილია განსაკუთრებული რკინის რეზერვუარები, რომლებიც ერთი ათასიდან 200 ათას ფუთს იტევს. ბაქოდან ნავთობროდუქტები ვაგონ-ქვაბებით[2] (ტევადობა 600-დან 750 ფუთამდე), ან კასრებით მოდის. ბათუმიდან ეს პროდუქტები

[1] იხ. ჩემს მიერ შედგენილი და 1889 წ. გამოცემული ბათუმის რუკა.
[2] იხ. ჩემს მიერ შედგენილი და 1889 წ. გამოცემული ბათუმის რუკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა






ნ.მ. დაკიშევიჩის მიერ შედგენილი ბათუმის რუკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

გადის თუნუქის ყუთებით[1], კასრებით[2] და გემებში პირდაპირი გადასხმით. ნავთობპროდუქტების გემებამდე გადასაქაჩად გაყვანილია მილები. გადასასხმელ გემებს[3]



**ნავთობის ტანკერი**
**ბათუმის ნავმისადგომთან**

უწოდებენ ჩვეულებრივ თბომავალს, რომლის ნაწილის დანიშნულებაა თხევადი ნავთობის მიღება. გემის ეს ნაწილი გამოყოფილია ყრუ გრძივი და განივი ზღუდეებით, რომლებიც ცალ-ცალკე რკინის ყუთებს ქმნიან. ამ ყუთებში ასხამენ ნავთობპროდუქტებს.

---

[1] ყრუდ დარჩილული თუნუქის 2 ჭურჭელს ჭედავენ ხის ყუთებში. ერთი ჭურჭელი 1 ფუთ ნავთს იტევს. გემს 60 000-დან 125 000-მდე ასეთი ყუთი გადააქვს.

[2] კასრი 9 ფუთ ნავთს, 11 ფუთ ზეთს, 10,5 ფუთ ნავთობის ნარჩენებს და 12,5 ფუთ დისტლატს (გამოხდილ პროდუქტს, რ.ს.) იტევს.

[3] იხ. ჩემს მიერ შედგენილი და 1889 წ. გამოცემული ბათუმის რუკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითოეულ თბომავალს 3000 ტონამდე ნავთობი გადააქვს.



**როტშილდის ბიდონების ქარხნის ინტერიერი**

ბაზარზე გადასაზიდად აქვთ:

| | |
|---|---|
| 1. პირონაფტი და ასტრალი, მძიმე გასანათებელი ზეთი | იხმარება გასანათებლად |
| 2. ნავთი | |
| 3. ბენზინი | |
| 4. მინერალური ზეთი საცხი – იხმარება მანქანების შესაზეთად (ნავთობის ნარჩენებით ან შერეული) | |

| | |
|---|---|
| 5. დისტილატი გაუწმენდავი ნავთობი | გამოიყენება სხვადასხვა ქარხანაში გადასამუშავებლად |
| 6. საცხი ზეთის დისტილატი | |
| 7. ნავთობის ნარჩენები | გამოიყენება სხვადასხვა მიზნით |
| 8. თეთრი ვაზელინი | იყენებენ ფარმაცევტიკაში |
| 9. კანიფოლის ზეთი | გამოიყენება ბორბლების შესაზეთად |
| 10. ყვითელი საცხი | ტყავის ქარხნებისათვის |




**ამიერკავკასიის რკინიგზის რეზერვუარები**

ნავთობპროდუქტების შესანახი პირველი რეზერვუარი ბათუმში დადგა ინჟინერმა პალაშკოვსკიმ 1882-83 წლებში. ამჟამად აქ არის შემდეგი ქარხნები და საწყობები:

ეროვნული ბიბლიოთეკა



| № | საწყობების და ქარხნების მეპატრონეები | არსებობს | რეზერვუარი: რ-ბა | რეზერვუარი: თითოეულის ტევადობა ათას ფუნტებში | სადღეღამისო მუდ-მივი მუშების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | შებერი და გროტი | საკასრე | 1 | 40 | 20 |
| | | | 1 | 50 | |
| | | | 1 | 70 | |
| 2 | მავროპულო | ყუთები | 1 | 3 | 25 |
| 3 | რიხნერი და K⁰ | ხის და თუნუქის ყუთების დამამზადებელი ქარხანა. ელექტროგანათება | 1 | 70 | 550 |
| | | | 1 | 130 | |
| 4 | კასპია-შავი ზღვის ნავთობ-მრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოება | კასპია-შავი ზღვის ნავთობმრეწველო-ბისა და ვაჭრობის საზოგადოება თუნუ-ქის და ხის ყუთების დამამზადებელი ფაბრიკა, თუჯის ჩამომსხმელი მექა-ნიკური სახელოსნო. ელექტროგანათება. ყუთებში ნავთის მექანიკური გადასხმა | 1 | 1200 ფუთი | 250 |
| | | | 1 | 1500 ფუთი | |
| | | | 1 | 3500 ფუთი | |
| | | | 1 | 10ფუთი | |
| | | | 1 | 20 | |
| | | | 1 | 25 | |
| | | | 3 | 80 | |
| | | | 8 | 150 | |
| | | | 8 | 150 | |
| 5 | ნეიმანი | — | 1 | 60 | — |
| | | | 5 | 150 | |
| 6 | ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოება | — | 6 | 100 | — |
| 7 | სტეფანინი | — | 1 | 175 | — |
| 8 | შიბაევი და K⁰ | საკასრე | 1 | 135 | 10 |
| | | | 1 | 150 | |

ელექტრონული ბიბლიოთეკა





როტშილდის ქარხანა



როტშილდის ქარხანა (ეზო)

ეროვნული ბიბლიოთეკა



| № | გასატანი საგნები | გასატანი საქონლის საშუალო რაოდენობა 1 წლის მანძილზე მოცემულია ფუთებში | | | მასალების მთავარი ბაზრები |
|---|---|---|---|---|---|
| | | ყუთებით | კასრებით | გადასხმით | |
| 1 | ნავთობის ნარჩენები და მინერ. ზეთი | – | 338000 | – | ინგლისი, გერმანია, იტალია |
| 2 | ნავთი | 100000 | – | – | რუსეთი |
| 3 | ნავთი | 1500000 | – | – | იტალია, ეგვიპტე, ჩინეთი, იაპონია |
| 4 | მინერ. საცხი ზეთი ნავთობის ნარჩენები, დისტილატი (მხოლოდ ავსტრია-უნგრეთში), ნავთი, ზეთიანი დისტილატები | ნავთი | | | თურქეთი, მცირე აზია, სირია, ეგვიპტე, იტალია, ავსტრია, ინგლისი, ბელგია, ჰოლანდია, გერმანია, ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია, ინდოჩინეთი |
| | | 3000000 | 342000 | 4000000 | |
| | | დისტილატი | | | |
| | | – | 133000 | 2000000 | |
| | | ნავთობის ნარჩენები | | | |
| | | – | 115500 | 1232000 | |
| | | მინერ. ზეთი | | | |
| | | – | 132000 | – | |
| 5 | ნავთი, დისტილატი | – | 10000 | 2500000 | ავსტრო-უნგრეთი, ინგლისი |
| 6 | ნავთი, ნავთობის ნარჩენები | – | – | 2000000 | რუსეთი და უცხოეთის ქვეყნების ნაწილი |
| 7 | ნავთი | – | – | – | |
| 8 | სხვადასხვა ხარისხის საცხი, ზეთები, მძიმე გასანათებელი ზეთი, ნავთი | სხვადასხვა ხარისხის ზეთი | | | რუსეთი, ავსტრია, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, ინგლისი |
| | | 650000 | | | |
| | | ნავთი | | | |
| | | 10000 | – | 2000000 | |
| 9 | ტოტინი | | 2 | 1 | |
| | | | 1 | 100 | |
| | | | 2 | 150 | |
| | | | 1 | 150 | |
| 10 | მადათოვი და $K^0$ | თუნუქის და ყუთების | 1 | 150 | 50 |
| 11 | გოლდლიუსტი | კასრები | – | – | 10 |
| 12 | ბურკარდტი და $K^0$ | ხის და თუნუქის ყუთების დამამზადებელი ფაბრიკა და კასრები | 1 | 30 | 170 |
| | | | 1 | 60 | |
| | | | 1 | 100 | |
| | | | 3 | 150 | |
| 13 | ძმები ნობელები | საკასრე | 1 | 15 | 15 |
| | | | 2 | 30 | |
| | | | 2 | 60 | |
| | | | 8 | 15 | |
| 14 | მნაცაკანოვი | თუნუქის და ხის ყუთების | 1 | 60 | 40 |
| 15 | ცოვიანოვი | თუნუქის და ხის ყუთების | 1 | 150 | 250 |
| 16 | მუტაფოვი და მელქონიანცი | თუნუქის და ხის ყუთების | 1 | 10 | 200 |
| | | | 1 | 40 | |
| | | | 1 | 105 | |

ელექტრონული ბიბლიოთეკა



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17 | მანთაშევი | თუნუქის და ხის ყუთების | 1 | 50 | 300 |
| | | | 1 | 100 | |
| 18 | ანგელიდისი | თუნუქის და ხის ყუთების | 1 | 20 | 200 |
| | | | 1 | 25 | |
| | | | 1 | 60 | |
| 19 | სიმელიდისი | ნავთობპრო დუქტების გამოსაყვანი აპარატი | – | – | 20 |
| 20 | სიუარტი | | 2 | 148 | |
| 21 | დემბოტი | თუნუქის და ხის ყუთების | – | – | 30 |
| 22 | კრისინი | კასრები | – | – | 30 |
| 23 | ილინი და აბრამოვიჩი | ხის ყუთები და კასრები | – | – | 40 |
| | ნავთი | – | – | 2000000 | გერმანია, ინგლისი |
| | ნავთი | 500000 | – | – | თურქეთი, ეგვიპტე |
| | სხვადასხვა ზეთი | – | 150000 | – | ავსტრია, საფრანგეთი |
| | ნავთი | 1150000 | 50000 | 1800000 | ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია, ინგლისი, გერმანია |
| | ნავთი, საცხი ზეთი და სხვ. | – | 27000 | 600000 | ავსტრია, ინგლისი, ბელგია, იტალია, საფრანგეთი |
| | ნავთი | 300000 | – | – | ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი |
| | ნავთი | 700000 | – | – | ჩინეთი, თურქეთი |
| | ნავთი | 700000 | – | – | თურქეთი, ეგვიპტე, ინდოჩინეთი |
| | ნავთი | 850000 | – | – | თურქეთი |
| | ნავთი | 1200000 | 2000 | – | თურქეთი, სერბია, ბულგარეთი |
| | სხვადასხვა ზეთები ნავთ. ნარჩენები ფაინოლი (თეთრი ზეთი) | 500000 | 15000 | – | იტალია, რუსეთი |
| | ნავთი | – | – | | |
| | ნავთი | – | – | | |
| | ნავთი და ზეთი | – | 8000 | – | რუსეთი |
| | ნავთი, სხვადასხვა ზეთი, საცხი | 5000 | 300000 | – | რუსეთი |



**რკინის საწყობი, შემდგომში ბათუმის რკინის თეატრი**

გარდა ამისა ქალაქში არის:

თუჯის ჩამოსასხმელი ქარხანა და ალტფატერის საქვაბე. ყოველდღიურად საშუალოდ 50 მუშა.

| | |
|---|---|
| ელექტრო-მეტალურგიული ქარხანა ნაგელი | ყოველდღიურად საშუალოდ 15 მუშა გამოყავთ კალა ძაფებად და ფირფიტებად რკინის ნაჭრებიდან, ნავთისათვის თუნუქის ყუთების დამზადე-ბისას დარჩენილი მასიდან საშ. 200 მუშა ყოველ დღე. |
| საქვაბე სახელოსნო გუსტავ ლისტი | აკეთებენ რკინის ბარათებს ნაპირიდან გემებზე ნავთის ყუთების გადასატანად. ეს ბარჟები მოხერხებულია პურის ტვირთის გადასატანად. ისეთივე ტიპისაა, როგორიც ინგლისსა და ამერიკაშია. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| რამდენიმე მინერალური წყლის ქარხანა | მათ შორის წყლების სრულყოფით და საუკეთესო აპარატურით გამოირჩევა მიხკანიანცის ქარხანა. დასათვალიერებლად, იგი ყველასათვის მისაწვდომია. აპარატურის სისტემა ოსკარ კროფტისა. მუშათა საშუალო რაოდენობა 8. |
| ორი თამბაქოს ქარხანა. ბევრია წყლებისა და ღვინის საწყობები | საშუალოდ ——— მუშა ღვინის სპირტს ღებულობენ ოდესიდან, ქერჩიდან და სხვ. ყურძნის ღვინო მოდის ელიზავეტპოლიდან (განჯის), იმერეთიდან, რაჭიდან, სვირიდან (ყვირილის) და ცოტა-კახეთიდან. წლის განმავლობაში აქედან საშუალოდ გადის არანაკლებ 2500 000 ბოთლი ყურძნის ღვინო. |
| სხვადასხვა საწყობები, როგორიცაა: რკინის, სამღებრო, აგურის, ქვანახშირის, შეშის, ხე-ტყის და სხვ. 25-მდე აღწევს. | ხე-ტყის ყველაზე საუკეთესოა კოირეს საწყობი. |
| ევროპული და ადგილობრივი პურსაცხობები 32-მდე | ფქვილი მოდის ოდესიდან და ამიერკავკასიიდან. ადგილზე გადის 290000 ფუთამდე გამომცხვარი ხორბლის პური. |
| ადგილობრივი დუქნები ორ ათეულამდე | საქონლის ჯოგს მოერეკებიან რუსეთიდან, ამიერკავკასიიდან და თურქეთიდან. წლის განმავლობაში გადის 30000-მდე ცხვარი 1,5 ფუთიანი და 11000-მდე ხარი საშუალოდ 9 ფუთიანი. |
| ყველა თანრიგის ყავახანა 40-მდეა | წლის განმავალობაში გადის 500 ფუთამდე ყავა. |

| | |
|---|---|
| სასტუმროები სულ 10. მათი საერთო რაოდენობა, ტრაქტირების, დუქნების და სხვ. ჩათვლით 180-მდე | მათ შორის პირველი კლასისაა 4: „ფრანცია“, „იმპერიალი“, „ევროპა“, „ცენტრალნაია“. წლის განმავლობაში ამ 4-ში სტუმრობდა 5500, დანარჩენში 4500. |
| ფაიტონი 84, ოთხთვალა 400 | |



**ბათუმი. წინა პლანზე რკინიგზის ხაზი და ორთქლმავალი. შემდეგ აზიზიეს მეჩეთი და სასტუმრო „ფრანცია“.**
გრავიურა ფრანგულ ჟურნალ „ილუსტრაციონიდან“. 1886 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ერთი საზოგადო საკრებულო, ორი თეატრი და ერთი ცირკი | საზ. საკრებულოში 1889 წ. ირიცხებოდა 200 წევრი | სასწავლებლები | მოსწავლე ქალები | ვაჟები | მასწავ. კაცები | მასწ. ქალები |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამქმელი (ბებია ქალი) | 5 | ბათუმის ქალთა | 90 | – | 2 | 4 |
| აფთიაქი | 1 | III კლასის სახელოსნო 3-წლიანი კურსებით | – | 40 | 4 | – |
| სააფთიაქო საწყობი | 3 | ქალაქის ვაჟთა 3 წლიანი კურსით | – | 150 | 5 | – |
| სამხედრო ექიმი | 8 | ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლა | – | 40 | 2 | – |
| სამოქალაქო ექიმი | 5 | Ecole française (ფრანგ. სკოლა) | 16 | – | 1 | 3 |
| ქალი ექიმი | 2 | სამრევლო სომხური სკოლა | – | 42 | 3 | – |
| სანოტარო კანტორა | 2 | ბერძნული საზოგად. სკოლა | 30 | 70 | 3 | 2 |
| ერთი წიგნის მაღაზია და ერთი საჯარო ბიბლიოთეკა | ბიბლიოთეკას გასულ წელს 200 ხელმომწერი ჰყავდა | ორი მუსლიმანური სკოლა ახმედიეს და მუფტიეს მეჩეთებთან | – | 20 | 1 | – |




**ი.ი. პეტკევიჩის აფთიაქი**
(შემდგომში №1 აფთიაქი. დაიხურა 2010 წელს)

მოსახლეობის რიცხვის სწრაფი ზრდისა და კომერსანტების მუდმივი მოზღვავების გამო მიწების ფასი საკმაოდ მაღალია. ეწერლუღში (ლიმან-მეჰელე) იოსელიანის[7)] მიწების ბოლო საჯარო ვაჭრობის დროს ყველაზე დაბალ ფასად ერთი კვ. საჟენი შეიძინეს 80 კაპიკად.

მდ. ანგისიდან ვოზნესენსკის ქუჩამდე ლიმან მეჰელეს სხვა მიწები ერთი კვ. საჟენი 3-დან 12 მანეთად იყიდება.

ვოზნესენსკის ქუჩიდან დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩამდე 10-30 მან, აზიზიეს, ახმედიეს და მუფტიეს უბნებში 18-120 მანეთად, სამჭედლოდან დევრიშ-ფაშის გზამდე 7-12 მან.[8)]

ქარხნის მიწები ბარცხანაში, ე.ი. იქ, სადაც ნებადართულია რეზერვუარის აშენება ღირს არანაკლებ 15 მანეთისა, დანარჩენი 10 მანეთამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა


მიწის შესყიდვისა და იჯარით აღების დროს გვირჩევენ გამოვიჩინოთ სიფრთხილე. ქალაქის ახლომდებარედ მცხოვრებნი, იოლი გამდიდრების მოყვარულნი გაქნილი კომისიონერები არიან. ახალჩამოსულის ნდობის მოპოვებით ისინი ყიდიან ან არენდით გადასცემენ მითვისებულ სხვის მიწებს. ეს მათთვის ჩვეულებრივი საქმეა.

ქალაქი ბათუმი წარმოადგენს ამიერკავკასიის რკინიგზის ბოლო პუნქტს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს კასპიის და შავ ზღვებს, აქვს კარგი ყურე და ბაქოს ნავთობის შემწეობით მთელს ამიერკავკასიის



**ბათუმის პორტი**

მხარეში მთავარ გამშვებ კომერციულ პორტად იქცა. ბაზრებზე გასაგზავნ და გასასაღებელ ნავთობთან ერთად იმავე გემებით ბათუმში შემოდის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ღებულობს | | საშუალოდ წლის განმავლობაში | იგზავნება (უპირატესად) |
| ამიერკავკასიიდან და სპარსეთიდან 2/3 ქუთაისის გუბერნიიდან | კაკლის მასალა კაკლის ძელები | 30 ათასი ფუთი | საფრანგეთში |
| | | 170 ათასი ფუთი | გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში |
| ელიზავეტპოლიდან და იმერეთიდან | ხორბალი და სიმინდი | 4 ათასი ფუთი 500 ათასი ფუთი | საფრანგეთში და იტალიაში |
| ელიზავეტპოლის და ბაქოს გუბერნიებიდან | ბრინჯი | 260 ათასი ფუთი | რუსეთში, ცოტა უცხოეთში |
| ბაქოს გუბერნიიდან | ენდრო (ფესვი) | 30 ათასი ფუთი | საფრანგეთში |
| ქუთაისის გუბერნიიდან | ფასოლი (ლობიო) | 5 ათასი ფუთი | რუსეთში |
| სპარსეთიდან | თამბაქოს ფოთოლი | 20 ათასი ფუთი | რუსეთში |
| ელიზავეტპოლის და ბაქოს გუბერნიებიდან | აბრეშუმის პარკი | 22 ათასი ფუთი | საფრანგეთში |
| ამიერკავკასიიდან | შალი | 250 ათასი ფუთი | საფრანგეთში |
| ელიზავეტპოლის, ერევნის და ბაქოს გუბერნიები | აბრეშუმი | 6 ათასი ფუთი | საფრანგეთში |
| ამიერკავკასიიდან | გვირილა | 12 ათასი ფუთი | ავსტრიაში, საფრანგეთში, ამერიკაში |
| ერევნის გუბერნ. სპარსეთი | ქიშმიში | 160 ათასი ფუთი | რუსეთში |
| ბაქოს გუბერნია | ძირტკბილას ძირი | 200 ათასი ფუთი | ამერიკაში |
| სპარსეთიდან | ნუში | 23 ათასი ფუთი | რუსეთში |
| ამიერკავკასიიდან | დაუმუშავებელი ტყავი | 24 ათასი ფუთი | საფრანგეთში, რუსეთში |
| ბაქოს გუბერნ. სპარსეთი | სელის და შირბახტის თესლი | 50 ათასი ფუთი | რუსეთში |
| ელიზავეტპოლი, კახეთი | ყურძნის ღვინო | 125 ათასი ფუთი | საფრანგეთში, რუსეთში |
| ქუთაისის გუბერნია | პალმის ხე | 160 ათასი ფუთი | საფრანგეთში, ინგლისში |
| კასპიისპირეთი და ამიერკავკასია | ბამბა | 150 ათასი ფუთი | რუსეთში |
| ელიზავეტპოლი, ბაქოს გუბერ. და სპარსეთი | ხალიჩები | 35 ათასი ფუთი | საფრანგეთში |

ელექტრონული ბიბლიოთეკა



**ბათუმის ზღვის ყურე**

გადასატანი საქონლის მრავალფეროვნებას მოჰყვა ბათუმში მრავალი კანტორის, განყოფილებისა და სააგენტოს დაარსება, როგორიცაა:

| | |
|---|---|
| 1. რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების სააგენტო | რუსეთისა და უცხოეთის პორტებში სამგზავრო და ტვირთსაზიდი თბომავლები. |
| 2. რუსეთის საზღვაო, სამ-დინარო, სახმელეთო ტრანს-პორტით საგანძურის გადა-ტანის დაზღვევის საზოგადოე-ბის კანტორა.<br>აქვე ჩრდილოეთის სადაზ-ღვევო საზ-ების სააგენტო | რუსეთის პორტებში სატვირთო და სამგზავრო თბომავლები |
| 3. სააგენტო „მესაჟერი მარიტიმი“ | საზღვარგარეთის პორტებში სამგზავრო და სატვირთო თბომავლები. |
| 4. საფრანგეთის პაკე და K$^{0}$-ის თბომავლების სააგენტო | იგივე |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| 5. ბერძნული საზოგადოება „პანელინიკის“ სააგენტო ხუსაკისა და გიზის კანტორა | საზღვარგარეთ საქონლის გადაზიდვა |
| 6. ავსტრიის თბომავალ „ლოიდის“ სააგენტო | საზღვარგარეთის პორტებში სამგზავრო და სატვირთო თბომავლები |
| 7. „კავკაზ ი მერკურის“ სააგენტო | |
| 8. სანკტ-პეტრებურგის კომპანია „ნადეჟდას“ სააგენტო | ძვირფასეულის გატანის დაზღვევა. |
| 9. კავკასიის კანტორა | სხვადასხვა კომისია |
| 10. ე. ჩერუტის კანტორა | ხორბლის, ფოტოგენის და პალმის ხეების გადაგზავნა |
| 11. საზღვაო დაზღვევის სააგენტო „რუს ლოიდი“ იქვე დანიისა და გერმანიის სანაოსნოების, აგრეთვე სადაზღვევო საზ-ბა „ნიუ-იორკის“ კანტორები | |
| 12. ხანძრისაგან დაზღვევის რუსეთის მე-2 საზოგადოების სააგენტო | |
| 13. სადაზღვევო საზ-ბა „იაკორის“ სააგენტო | |
| 14. რუსეთის სადაზღვევო საზ-ბის სააგენტო | |
| 15. საზ-ბა „როსია“-ს სადაზღვევო სააგენტო | |
| 16. ქონების ხანძრისაგან დაზღვევის სანკტ-პეტერ-ბურიგის საზ-ბის სააგენტო | |
| 17. საზოგადოება „ვოლგა“-ს სადაზღვევო სააგენტო | |
| 18. სადაზღვევო საზ-ბა „მოსკ-ვა“-ს საგენტო იქვე პოლაკ და $K^0$-ს საექსპედიციო კანტორა. | |
| 19. რუსეთის სადაზღვევო საზ-ბა „პომოშჩი“-ს სააგენტო. | |

ელექტრონული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| ა) იქვე. სიცოცხლის დაზღვევის რუსეთის საზ-ბა 1835 წ. ბ) უმაღლესი ბრძანებულებით დამტკიცებული თბომავლით მიმოსვლის საზ-ბის სააგენტო გ) პეტერბურგის თბომავლების საზ-ბის სააგენტო | |
| 20. სადაზღვავო საზ-ბა „სალამანდრას“ სააგენტო | |
| 21. რუსეთის სადაზღვევო საზ-ბის სააგენტო | |
| 22. კომერციული დაზღვევის საზოგადოების სააგენტო. ასევე მრავალი სხვა საექსპე-დიციო კანტორა და უცხოური სააგენტო | |



**ნურიის ტბა**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

***

კომერსანტების გარდა ბათუმში ჩამოდიან აგრეთვე ბანაობის მსურველებიც. ზღვის აბაზანები აქ არ არის, ამიტომ ბანაობენ ღია ზღვაში, ტანსაცმელი კი ინახება ან კარადაში ან ხის შენობაში, რომელთაც საბანაო ეწოდება. მუდმივი სუფთა ჰაერი და ზღვის წყალი იმდენად სასიამოვნოა, რომ ხალხის მასა აპრილიდან ნოემბრამდე ბანაობს. ყველაზე სასარგებლო დროდ ბანაობისათვის ითვლება შემოდგომა.

აი რას წერს, სხვათაშორის დოქტორი ა.ს. კრასოვსკი თავის ბროშურაში, რომელიც ბათუმში ზღვაში ბანაობას ეძღვნება.

„ყველაზე სასარგებლო დრო ბათუმში ბანაობისა არის შემოდგომა, არცერთ ჩვენს სამხრეთის კლიმატურ სადგურში (იალტა, ალუპკა და სხვ.), არ არის ასეთი რბილი, მომხიბლავი შემოდგომა, როგორც ბათუმში. ბათუმის ყურე საყმაწვილოს და ინგლისური დაავადების მქონე ბავშვების, სისხლნაკლები და ნერვიული ქალებისა და საერთოდ ხნიერებისათვისაც უძვირფასესი საბანაო ადგილია. და შემდეგ: „ციებისა და სხვა დაავადებებების თავიდან ასაცილებლად ახალჩამოსულმა უნდა იბანაოს მხოლოდ ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის დასვენების (აკლიმატიზაცია-ადაპტაციის, რ.ს.) შემდეგ, გაზაფხულზე ბანაობა უხდებათ ჯანმრთელებსაც, რომლებსაც ესაჭიროებათ ორგანიზმის ძლიერი აგზნება. შემოდგომაზე ბანაობას ურჩევენ საშუალო აგებულების სუბიექტებს, მზის ამოსვლამდე და ჩასვლის შემდეგ ბათუმში ბანაობა სასტიკად აკრძალულია. სადილის შემდეგ არაუადრეს 4 საათის გასვლამდე ბანაობა იკრძალება. წყალში

ჯდომა შეიძლება 3-დან 10 წუთამდე.“ «Морские купания в Батуме. Заметки для больных». 1886 г. Батум. Д-р А.С. Красовский.». 9)

მეტეოროლოგიური ცნობები*

| თვეები | ზღვის წყლის ტემპერატურა | ჰაერის ტემპერატურა | | |
|---|---|---|---|---|
| | | საშუალო | მაქსიმალური | მინიმალური |
| იანვარი | +10 | $+8_9$ | $+13_5$ | 0 |
| თებერვალი | 10 | $8_1$ | $12_5$ | $2_5$ |
| მარტი | 10 | 10 | $28_1$ | -3 |
| აპრილი | $10_8$ | $10_3$ | $21_3$ | $3_8$ |
| მაისი | $15_5$ | $16_6$ | $25_5$ | $5_8$ |
| ივნისი | $21_5$ | $21_5$ | $25_7$ | $12_8$ |
| ივლისი | 23 | $21_8$ | $27_9$ | 14 |
| აგვისტო | $24_5$ | $22_8$ | $29_3$ | 17 |
| სექტემბერი | 23 | 20 | 31 | $16_7$ |
| ოქტომბერი | 18 | 15 | $28_5$ | $9_2$ |
| ნოემბერი | $14_5$ | $11_2$ | $25_9$ | $5_4$ |
| დეკემბერი | 13 | $11_7$ | $18_9$ | $4_5$ |
| საშუალო წლიური | | +14 | | |

წყნარი და შედარებით მშრალი ამინდები ხშირია ოქტომბრიდან იანვრამდე, წვიმიანი – იანვრიდან შუა აპრილამდე. წვიმები იცის ან სამი დღე შეუწყვეტლივ სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ძირითადად შემოდგომაზე და გაზაფხულზე, ან წვრილი ცვარი-ზამთრობით.

**ქარები**. გაბატონებულია SW-სამხრეთ დასავლეთისა, ძირითადად წვიმის თანხლებით, გვხვდება გაზაფხულსა და ზაფხულში. უბერავს შტორმის ძალით, მაგრამ ყურეში მდგომი გემებისათვის ეს ქარი საშიში

---

* ამონაწერი ბათუმის მეტეოროლოგიური სადგურიდან.

არაა. ქარი NW – ჩრდილო-დასავლეთისა გვხვდება შემოდგომაზე, ქრის იშვიათად, არაძლიერად, მაგრამ ყურეში მცირე ლივლივს იწვევს (საშიშია). ქარი SO – სამხრეთ-აღმოსავლეთის გვხვდება გაზაფხულის დამდეგს, აგრეთვე შემოდგომასა და ზამთარს შორის, ქრის შტორმის ძალით (თბილი და მშრალი), რაც ხანგრძლივი უამინდობის ნიშანია.

დანარჩენი ქარები ან სუსტი, ან უწყინარია.[10)]

***

ბათუმიდან მარცხნივ მდინარე ჭოროხამდე და აღმოსავლეთით მდინარე ყოროლის-თავის წყლამდე* გაშლილი დიდი სწორი მოედანი, რომლის ნაწილზე სიმინდს თესავენ. შემოვლით დასაშრობ არხს ესაზღვრება სლობოდა ხოლოდნაია,[11)] სადაც 120-მდე სახლია. ისინი სწორხაზოვნად განლაგებულია სამ პარალელურ ქუჩაზე. ამჟამად სლობოდა მთლიანად მხოლოდ ქარხნის მუშებითაა დასახლებული (სავარაუდოდ აქ იგეგმება ქალაქის გაფართოება).

შემაღლება „სოუქ-სუ" (ცივი წყალი) მდებარეობს ქალაქის მიმდებარედ და ზაფხულში რამდენიმე სასიამოვნო საათის გატარების ადგილად ითვლება. აქედან იშლება ქალაქის, ქარხნების, სასაზღვრო ყურეს, ანძების ტყის და თვალუწვდენი ზღვის ხედი.

დამსვენებლები გადიან აგრეთვე მდინარე ყოროლის თავის წყალთან, სადაც მდებარე ბორცვზე აღმართულია ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები. გად-

---

* აღმოსავლეთით ოსმალთა მფლობელობის დროს ჰქონდათ „ჩალტიკი" (ბრინჯის ყანა). – ამ მოედნის ნაწილზე განზრახულია ქალაქის გაფართოება მდინარე სკურკუბამდე.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

მოცემით იგი თამარ დედოფალს აუგია.

ბევრი მიდის პანცერის ცივ გოგირდოვან წყლებზეც, ბათუმიდან ათ ვერსზე, მახინჯაურში, პატარა მდინარის ხეობაში.[12)]

ქალაქის მახლობლად მდებარეობს ვაშლებსა და მსხლებში, ან წიფლებში, მუხებსა და წაბლებში ჩაფლული რამდენიმე აგარაკი. ისინი გარემოცულია პონტოს როდოდენდრონის აზალიის ყვითელ ფუმფულა ყვავილებით და მარადმწვანე სიმაღლეებით. აქედან იშლება ზღვის ულამაზესი ხედი, აგრეთვე კავკასიის მთავარი მთაგრეხილის თოვლიანი მთების ჯაჭვი, რომლებიც ნისლებში იკარგება.* ამ ადგილებში შუა თებერვალში ყველგან იგრძნობა იების სურნელება.

საკუთრივ ქალაქში და ბათუმის შემოგარენში ველურ მდგომარეობაში, გვხდება ალპური ფლორის მრავალი მცენარე, აგრეთვე დედამიწის სხვადასხვა ქვეყნის ფლორა, როგორიცაა: იაპონია, ჩინეთი, ავსტრალია, ალტაის მთები, ჰიმალაი, კანარის კუნძულები, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკა და ა.შ. ისინი სხვადასხვა ადგილას გააშენა მებაღე დ'ალფონსმა, რომელმაც ბათუმის მიდამოებში მოაწყო რამდენიმე სანერგე, ბაღი და აგარაკი.

ბათუმის კლიმატი მცენარეებისათვის ძალზე კარგია, მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას ნიადაგზე, რომელიც აგებულია ზღვის ნატანით, ქვიშითა და ხრეშით. ქალაქის არემარეში მთების ფერდობების ცხრა მეათედი მუდმივად წვიმებით ირეცხება და ძალზე მწირი ხდება. ამის მთავარ მიზეზად ითვლება აგრეთვე შრომის

* მახინჯაური, ყოროლის თავი, ორთაბათუმი, ახალშენი, ყარადერე.

კულტურის უცოდინარობა და მიწათმფლობელთა ხელ-მოკლეობა.[13)]

ბათუმის მიდამოები უფრო თვალწარმტაცია, ვიდ-რე ნაყოფიერი და უპირატესად სასარგებლოა აგარაკე-ბისა და მდიდრული ვილების ასაშენებლად, ვიდრე ღარიბი მოსახლეობის კოლონიზაციისათვის.[14)]

ბათუმის კლიმატი განთქმულია მალარიული ციე-ბით, მისი სანიტარიული გაჯანსაღება კი ძალზე ნელა მიმდინარეობს. კლიმატის გაუმჯობესებას დიდად უშლის ხელს მიწის საკუთრების გადაუჭრელობა, რის გამო შემოგარენი დღემდე მიუწვდომელია რუსი მიწათმოქმედებისათვის და დაფარულია დამპალი ჭაობებით, ნოტიო ხეობებით, გვიმრითა და სხვა მყრალი შამბნარით. მათი განადგურებით ეს ადგილები გაჯანსაღდება, გამოსადეგი გახდება სააგარაკო ცხოვრების, ზღვაზე ბანაობისათვის და მდიდარ დასახლებად იქცევა.[15)]

***

ქალაქის მიდამოებში ხშირად გვხვდება გადამ-ფრენი ველური იხვები, მწყერები, მტრედები, სარ-სარაკი, ჩიბუხა, ტყის ქათამი, პრანწია, კრონშეპი (გერმანულია, ქართული შესატყვისი არ გააჩნია, რ.ს.) და სხვადასხვა სახის კოკორინა (ჩიბუხა და ტყის ქა-თამი აქ ზამთრობითაც რჩებიან). შედარებით ცოტა ხნის წინ აქ ცხოვრობდა ხოხობი. მაგრამ ამჟამად ის იშვიათია, თუ მას კიდევ შეხვდებით, მხოლოდ უღრან მიუვალ ტყეებში.

სიმინდის ყანების სიახლოვეს მასობრივად ვხვდე-ბით ტახებს და ტურებს, ხოლო მდინარე ჭოროხის



**ფრინველები ნურიის ტბაში**

მეორე მხარეს, აგრეთვე სოფელ ყოროლისთავთან, ხშირად ნახულობენ ველურ კატებს, ვეფხვებს*[16)] და დათვებს.

ახლომახლო მდინარეებში (ბარცხანა, სკურკუბა, ყოროლისწყალი) წვრილ თევზებთან ერთად კალმახებსაც იჭერენ, ჭოროხში კი რამდენიმე მსხვილი თევზიც გვხვდება: მურწა, ღლავი, შესართავთან – ზუთხი, სვია, ფორეჯი,** გემრიელ თევზს კეფალს აქ იჭერენ ზღვაში, ხშირად სოხუმიდან და მაკრიალიდან (საუკეთესო) მოაქვთ.

---

* Рысь (ვეფხვი) ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის ცნობილია „ზღვის ძაღლის“ სახელწოდებით

** ადგილობრივები მათ უწოდებენ: усар – მურწა და წვერა, сом – ღლავი ან ლოქო, осетр – ზუთხი, ანდაკი; шип – ფორეჯი, кефаль – კეფალი, белуга – თართი.



„ზღვის მამალი“

ჭოროხის სწრაფი დინების გამო მის დაკბილულ კლდეებთან ნაოსნობა სახიფათოა. აქ ცურავენ ბრტყელფსკერიანი ნავებით, რომელსაც გამოცდილი რეიზები (გონიოს უბნის მცხოვრებლები) მართავენ. მათ ანდობენ 100 ფუთამდე ტვირთს და ათეულობით მგზავრს. დინება იმდენად სწრაფია, რომ ქალაქ ართვინიდან მდინარის შავ ზღვასთან შესართავამდე, დაახლოებით 80 ვერსს წყალუხვობის დროს, ნავი 3 საათში გადაუფრენს, ამიტომ არც თუ ისე ბევრი ბედავს ამ საშინელ მგზავრობას. ბათუმი ართვინის ოკრუგიდან მარაგდება ზეთისხილით (საუკეთესოა ს. თოლგომისა), ყურძნით და წაბლით (საუკეთესოა ს. ბერთისა), ბროწეულით (საუკეთესოა ს. ლომაშენისა), ბიით (ართვინიდან) მსხლითა და თამბაქოთი (საუკეთესოა მურღულის ხეობისა).

ელექტრონული ბიბლიოთეკა



**ნაოსნობა ჭოროხზე**

***

ბათუმისა და ართვინის ოკურგებში არის სპილენძის, ვერცხლის, ტყავის და რკინის მდიდარი საბადოები.* ეს სიმდიდრეები უკვე შესწავლილია, მაგრამ დღემდე მხოლოდ მცირე ნაწილია ათვისებული. მდ. ჭოროხის აუზში ცნობილია შემდეგი:

**სპილენძი**. ქვემო აჭარაში, სოფ. მერისის მახლობლად, ართვინის ნაწილში, სოფელ ძანსულის მახლობლად (10%-დან 20% მეტალს შეიცავს), ხოტი, ჩხალთა, კურბინი, ბეშაული, ლომაშენი (10-დან 20%-მდე მეტალს შეიცავს), სინკოტი, წყალ-თეთრი, გონიოს უბანში ბეღლევანში.

---

* ზოგიერთებმა ოქროს კვალსაც მიაგნეს.

**ვერცხლისა და ტყვიის მადანი**. ართვინის უბანში: სოფ. ხოტი (შეიცავს 4%-მდე ოქროს და ვერცხლს ფუთში), სოფ. მერისი ენი-მეჰელეში. შავშეთის უბან-ში, სოფ. კიკიეთი, დასამობი, ბაძგირეთი. ქვემო აჭა-რა: სოფ. ვაიო (შეიცავს 65%-მდე ტყვიისა და 3%-მდე ოქრო-ვერცხლს ფუთში); გონიოს უბანი: სოფ. მარა-დიდი.



**ძანსულის სპილენძის საბადოები**

**წითელი რკინაქვა**. ხატილის ხეობაში, სოფ. ხა-ტილის მახლობლად.

**თუთია**. სოფ. ხოტში (შეიცავს 56%-მდე მეტალს).

**ბედლევანი**. კარა-შალვარი (სოფ. ჭარნალის მახ-ლობლად).

**მარმარილო**. ართვინის მახლობლად სოფ. ორ-ჯოხი.

ბათუმიდან მე-11 ვერსზე ჭოროხთან მდებარეობს ს. ერგე, სადაც მთავრდება სპილენძის სადნობი ქარხნის მშენებლობა. ნედლეული მოაქვთ მდ. ჭოროხის ნაპი-რებთან არსებული საბადოებიდან.[17)]

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ამ სიმდიდრის გასაღების ერთად-ერთი გზა ქალაქი ბათუმია.

მინერალური წყლებიდან ბათუმთან ახლოს მდებარეთაგან ცნობილია შემდეგი:

გონიოს უბანში სოფ. ცოცხობა, შუშხუნა ცივი წყალი; კატაფხია, კელასკური ცივი გოგირდოვანი წყლები; სოფ. ოთინგო-საუკეთესო თბილი გოგირდოვანი წყლები.

ქვემო აჭარაში, სოფ. ქედასთან ახლოს – ცივი გოგირდოვანი წყალი.

კინტრიშის უბანში სოფ. ხუცუბანში, მახინჯაურში (პანცერის აბაზანები); ორთა-ბათუმში (ჩელტა) – ცივი გოგირდოვანი წყლები. აქ ბოლო დროს (ცრუმორწმუნეობის გამო) აღარ ბანაობენ. დასახელებული სოფლებიდან მხოლოდ მახინჯაურში და ოთინგოში არის საბაზანო მოწყობილობა.



**მახინჯაურის გოგირდის აბანო**
**მექისე და კლიენტი**

ზემოთქმულის გარდა ბათუმის მახლობლად მთა სამებაზე მდებარეობს უძველესი ეკლესიის ნანგრევები. ასეთივე ნანგრევები (ვარაუდობენ ეკლესიისა) არის მთა დათვისთავზე.[18)] მახინჯაურის მხარეს, აგრეთვე მდინარე ყოროლისთავის წყლის შესართავთან, გან-ცალკევებულ ბორცვზე არის ძველი შენობის ნანგ-რევები, რომლებსაც ქართველი მეფის თამარის დრო-ინდელ მშენებლობას მიაწერენ და მდ. ჭოროხის შე-სართავთან გონიოს ციხის ნაშთები.

საერთოდ, მდ. ყოროლისთავის წყლის და მდ. ჭოროხის ხეობებში და მათ შესართავებთან არის მრავალი მადანი, მინერალური წყლები, თაღიანი ხიდების ნაშთები და ძველი ნანგრევები.

## ზოგიერთი ისტორიული ამონაწერი

კავკასიის სხვადასხვა აღწერაში ვნახულობთ, რომ ევროპა შავ ზღვას მხოლოდ ქრისტეს დაბადების შემდეგ გაეცნო, იმის შიშით, რომ ვიწრო ბოსფორის სრუტის გადაცურვა არ გაძნელებოდათ. შავ ზღვაზე (პონტოზე) ტივებით ნაოსნობა სრულდებოდა იაზო-ნამდე*, რომელმაც ხომალდით** პირველმა გადაცურა შავი ზღვა.

„არგო, რომლის ღუზა ნახა არიანემ (ცხოვრობდა 100-160 წ. ჩვენი წ.-ა.) მდ. ფაზისის მარცხენა მხარეს. არგონავტების პაექრობის შემდეგ (დაახლ. 1250 წ.

---

* ძველი ისტორია-საბერძნეთის გმირული დროება-არგონავტების წინამძღოლი.
** Сборник сведении о Кавказе, г. Зейдлица. 1871 г. ч. I, стр. 33-34.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ქრისტეს დაბადებამდე და დიდებული კოლხური ოქროს შექმნამდე) ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ ნაპირებზე აღმოცენდა ცენტრალური სავაჭრო ქალაქები.

ინდოეთისაკენ მიმავალი სავაჭრო გზებიდან პლინიუსი (ცხოვრობდა 29-79 წწ ქრისტეს დაბადებიდან) გადმოგვცემს რომის კონსულის ვარონის მტკიცებას, რომელიც ემყარებოდა პომპეუსის (ძვ. რომაელი სარდალი) ლაშქრობას იმის შესახებ, რომ შვიდ დღეში ინდოეთიდან შეიძლება მოხვდე ბაქტრიანამდე მდ. სიკართან ოქსის შენაკადთან, კასპიის ზღვით კი მდ. კირუზე და შემდეგ ხმელეთით 5 დღეში ჩახვიდე მდ. ფაზისზე, რომელიც სათავეს მოსხების ქვეყნიდან იღებს.[1]

აგაფემერი გადმოგვცემს, რომ ძველები ევროპასა და აზიის საზღვრად ასახელებდნენ მდ. ფაზისს,[2] რომელიც წინათ აქტურად იწოდებოდა[3]. ზეიდლიცის 1871 წ. კრებულის I ნაწილში, 34-ე, 36-ე, 37-ე გვერდებზე ვხვდებით ცნობებს, რომლის მიხედვით კოლხიდა, სომხურად კოგკისი, გადაჭიმული იყო ზღვის სანაპიროზე მდ. რიონიდან (მდ. ფარში) მდ. ჭოროხამდე (მდ. ფაზისი), რომლის შესართავთან დროდადრო ცხოვრობდნენ სომეხი-ხალიბები (ხაგტიკი)[4]. დ.ზ. ბაქრაძის წიგნის „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, მიხედვით მდ.

---

[1] Известия древных  греческих и римских писаталей. К. ГАН, о Кавказе, ч. I.

[2] там же, стр. стр. 103, 110, 153, 192.

[3] там же.

[4] Относительно существования торгов, путей по Чороху см. стр. 36 и 38 сборн. сведении о Кавказе, 2. Зейдлица, 1871 г. ч. I.

ჭოროხს კლასიკოსი მწერლები აკამფსისს უწოდებდნენ და ნ. შაფრანოვას ბროშურაში, „რიონის დაბლობის წარმოქმნა“ (1885 წ.), ნათქვამია, რომ რიონი იგივე ფაზისია.

მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიაში“ (თარგმანი ემინისა 1858 წ. გვ. 336) საუბარია იმაზე, რომ ძველი გეოგრაფიის მიხედვით დიდი სომხეთი ესაზღვრებოდა ჩრდილოეთით ახოვანკს, იბერიას და კოლხეთს, სხვა მდინარეებთან ერთად დასახლებულია ჭოროხიცო. ოლქებს შორის სპერი, ბაიბურთთან და სოფ. ერიზასთან ერთად, შეადგენდა ბაგრატუნების სამფლობელოებსო. 344-ე გვერდზე ნათქვამია, რომ მდ. ფაზისის სახელით ძველები გულისხმობდნენ არა მდ. რიონს, არამედ სწორედ ჭოროხსო, იმიტომ, რომ სტრაბონის გეოგრაფიის მე-XI წიგნის მიხედვით ფაზისი გამოდის სომხეთიდან. პლინიუსის VI, 4 წიგნში კი ნათქვამია, რომ ფაზისი გამოდის მოსხის მთებიდან. ყურადღებიდან არ გამორჩათ, რომ მდ. ფაზისი მიედინებოდა ტრაპიზონთან და ლაზეთთან ახლოს, აგრეთვე ის, რომ სომეხი მწერლების მიხედვით მდ. ჭოროხთან ადრე იყო ოქროს საბადოები (იხ. სომ. სიძველეები ინჯიჯიანისა, ნ. I, 142-148) და ბოლოს, ქსენოფონტეს აღწერით (ანაბაზისი. წ. IV, თ. VI), როცა ბერძენთა ჯარმა (ელინები, რომლებიც იაზონის დროს სომხეთამდე მივიდნენო) გაიარა მდ. ფაზისის შესართავიდან ათი ფარსანაგი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი შეხვდნენ ჭოროხის მცხოვრებლებს სომხურ ოლქებში ხახტიკაში, ტკიში და ბასიანშიო.[19)]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე შევიტყობთ, რომ ბათუმი ცნობილი იყო ქრისტეს დაბადებამდე 400 წლით ადრე[1], რომ სახელოვანი ბერძენი კოლონისტი და ორატორი დემოსთენე (მცხოვრები 450–413 წწ ქრისტეს დაბადებამდე) ბათუმის მკვიდრია[2].[20)]

პირველი ქართველი მეფის ფარნავაზის დროს (შემოიღო ქართული დამწერლობა, ცხოვრობდა 301-237 წწ ქრისტეს დაბადებამდე) მდ. ჭოროხამდე მდებარე მიწები შედიოდა მეშვიდე მხარეში (საერისთავო)[3], კერძოდ: გურია (ზემო ქართლის ნაწილი) და ფარნავაზის მიერ შემოერთებული კლარჯეთი,[4] ხოლო ქრისტეს დაბადებამდე 70-იანი წლებიდან კლარჯეთს (და მასში შემავალი ბათუმსაც) სხვა მიწებთან ერთად ფლობდნენ რომაელები ქართველ მეფე ვახტანგ გორგასალამდე (ცხოვრობდა 446-499 წწ ქრისტეს დაბადებიდან) შემდეგ მდ. ჭოროხის მიმდებარე მიწები ქართველებისაგან გადადის სომხებზე და პირიქით. საქართველოს მეფე თამარის (1184-1211) შემდეგ, როცა მან დაიბრუნა კლარჯეთი და ტრაპიზონი (1204 წ.) აჭარა და ჭანეთი დაახლ. 1465 წ. კახაბერისგან გადადის როსტომ გურიელის ხელში, რომლისგანაც თურქები დაეუფლნენ ბათუმს და გონიოს და ხელთ ჰქონდათ 1547-1878 წლებში, რუსეთის მიერ მათ დაპყრობამდე.

---

[1] Сочн. Мурие. 1887. стр. 22 (на франц. яз.)
[2] Собр. газ. «Кавказ», 2-ое полугд. 1847 г. стр. 148.
[3] История Грузии Вахушти; Д.З. Бакрадзе. 1885. ч. I, стр. 37-38.
[4] География Грузии Вахушти. 1842 г. стр. 72.

# მთარგმნელის შენიშვნები

1) ბათუმელი ქართველების ასეთი დაყოფა რუსული პოლიტიკის ერთერთი შემადგენელი ნაწილია. „დაჰყავი და იბატონე" – ამ ავბედითი ლოზუნგის გავლენის ქვეშ მოქცეულია წიგნის ავტორიც. თუმცა თვით რიცხვი რეალურად უნდა ასახავდეს 1889 წლისათვის ბათუმში ქართველ ქრისტიანთა რაოდენობას.

2) რუსეთის ქვეშევრდომ თურქებში, რომელთა რიცხვი 1889 წელს 530 ყოფილა, იგულისხმებიან ბათუმის მკვიდრი მუსლიმანი ქართველები. მათი ასე გამოყოფა და თურქებად მონათვლაც წინა შენიშვნაში გამოთქმული იმპერიული პოლიტიკის ნაწილია.

3) ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აშენების თარიღი, რომელსაც სხვა ავტორებიც იმეორებენ (1861, 1864, 1865 წწ) სწორი არ უნდა იყოს. ნ. დაკიშევიჩი ამბობს, რომ იგი 1868 წელს ვალიდე სულთან-ხანუმმა ააშენაო, მას მხედველობაში ჰყავს აბდულ აზიზის დედა წარმოშობით ქართველი (სამტრედიელი) ფატიმა ქუთათელაძე-ბეზმიალემ ვალიდე სულთანი. ეს თარიღიც არ შეიძლება ვირწმუნოთ, რადგანაც ფატიმა (იგივე ბეზმიალემ) ვალიდე სულთანი 1853 წლის 3 მაისს გარდაიცვალა. ჩვეულებრივ სულთნების ან მათი მემკვიდრეების სახელზე მეჩეთებს აშენებდნენ მათი დაბადების წელს, ან სულთნის ტახტზე ასვლის აღსანიშნავად. აბდულ-აზიზი ტახტზე ავიდა 1861 წელს, როცა დედა 8 წლის წინ გარდაცვლილი იყო, ამიტომ ეს მომენტიც უნდა გამოვრიცხოთ. დაგვრჩა მომავალი ფადიშაჰის დაბადების თარიღი – 1830 წელი. ჩვენი აზრით, თუ ბათუმის აზიზიეს მეჩეთი აშენებულია

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ვალიდე სულთანის სიცოცხლეში, მაშინ ეს უნდა მომხდარიყო 1830 წელს.

4) დონდუკოვ-კორსაკოვის, ახლანდელი კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩაა. როგორც ჩანს, ის იყო საზღვარი ძველ ბათუმსა და ახალ (ნურიეს) უბანს შორის. ავტორი ეხება გეოგრაფიულ სახელ ნურიეს და არაორაზროვნად აცხადებს, რომ იგი „შეერქვა აქაური დიდკაცობის წარმომადგენლის, ნური-ბეგის საპატივცემულოდო“. მას მხედველობაში ჰყავს მილიციის მაიორი ნური-ბეგ ხიმშიაშვილი (1835-1907), რომელიც ჯერ შავშეთ-იმერხევში უბნის უფროსად, ხოლო შემდეგ ბათუმის ახლადშექმნილი მილიციის ინსპექტორად მოღვაწეობდა. თუმცა ეს თანამდებობა სახსენებლადაც არ ღირს იმ დიდ პატრიოტულ ამაგთან, რაც მან დასდო თავისი სამფლობელო შავშეთ-იმრეხევის უსისხლოდ გათავისუფლებასა და ამ მხარის კულტურულ, საგანმანათლებლო და ეკონომიკურ განვითარებას. თუ გავიხსენებთ, რომ რუსეთის ხელისუფლებას წესად ჰქონდა ახლად დაპყრობილი მხარეების გეოგრაფიულ ადგილებზე და ქალაქის ქუჩებზე თავისი ჩინოვნიკებისა და გენერლების გვარების შერქმევა, თითქოს გასაკვირი არ უნდა იყოს (გავიხსენოთ სტეპანოვკა, სმეკალოვკა, ზაჩოროხსკი და ა.შ.), ბათუმის ტბას ნური ხიმშიაშვილის სახელი შერქმეოდა. ამას მხარს უჭერს ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი, ხოლო მეორე თვლის, რომ ნურიე გაცილებით ძველია და ქართულ ნორიო-დან უნდა მოდიოდეს, რომელიც რელიქტურ ტბას ნიშნავსო (ი. სიხარულიძე). შესაძლოა ეს მართლაც სწორია, მაგრამ სანამ საკითხი ბოლომდე არ გარკვეულა, ნ. დაკიშევიჩის ნათქვამსაც არსებობის უფლება აქვს.

5) საინტერესო ცნობაა. როგორც ცნობილია ბათუმის რკინიგზა 1883 წელს ამოქმედდა. მისი ბოლო პუნქტი ამჟამინდელი საზღვაო ვაგზლის ადგილას მდებარეობდა. აქ იყო რკინიგზის სამგზავრო სადგურიც. შემდეგ სადგური ქალაქის ცენტრში პეტერბურგის (ილია ჭავჭავაძის) ქუჩაზე აშენდა, მაგრამ უცნობია, როდის დაიწყო და დასრულდა მისი მშენებლობა. ნ. დაკიშევიჩის ჩანაწერით მიახლოებით შეიძლება ვთქვათ, რომ ბათუმის რკინიგზის სადგურის (ამჟამინდელი „თი ბი სი" ბანკი) მშენებლობა 1888-1889 წლებში დაიწყო. როგორც ჩანს, ქალაქის ამ უმნიშვენლოვანესი სამგზავრო კვანძის მშენებლობის განკარგულება, 1888 წელს ბათუმში ყოფნისას, იმპერატორმა ალექსანდრე III გასცა.

6) სხვა ისტორიულ ლიტერატურაში და საარქივო ფონდებში გზის ასეთი სახელწოდება არ შეგვხვედრია. რაკი საუბარია მუფტი-მეჰელეზე, ლიმან-მეჰელესა და ბარცხანაზე, ჩვენი აზრით დევრიშ-ფაშის გზად იწოდებოდა ამჟამინდელი მაიაკოვსკის ან გოგებაშვილის ქუჩა ილია ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთიდან პორტში შემავალ რკინიგზის ჩიხამდე.

7) ავტორს მხედველობაში აქვს პოლკოვნიკ იასონ იოსელიანის მიწები, რომლებიც მას ჩამოერთვა და საჯაროდ გაიყიდა. ამ ამბის ისტორია ასეთია: 1862-65 წლებში ოსმალეთის ხელისუფლებამ ბათუმის სანჯაყ-ბეგ აბაშიძეებს ქალაქის მოსაზღვრე სოფლებში გადასცა 457 დესეტინა აუთვისებელი მიწა იმ პირობით, რომ ისინი 3 წლის მანძილზე ამ ადგილებს ჯაგნარისაგან გაწმენდნენ და სავარგულებად აქცევდნენ. აბაშიძეებმა ეს პირობა ვერ შეასრულეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ოსმალეთის ხელისუფლებას მიწები მათთვის არ ჩამოურთმევია. რუსული მმართველობის დამყარებისთანავე, აბაშიძეებმა ეს მიწები პოლკოვნიკ იასონ იოსელიანს მიჰყიდეს, მაგრამ მალე გაირკვა, რომ პირობების დარღვევის გამო 1865-1868 წლებიდან ეს მიწები აბაშიძეების აღარ იყო და ხაზინას ეკუთვნოდა. ი. იოსელიანს სახაზინო მიწების შესყიდვა კანონის უხეშ დარღვევად ჩაუთვალეს, ღირსებები აჰყარეს და ციმბირში გადაასახლეს, ხოლო მისი მიწები ნაჭერ-ნაჭერ გაყიდეს (იასონ იოსელიანზე იხ. ჩვენი „აბდულ მიქელაძე", ბათუმი. 2007. გვ. 55-60, 140).

8) ვოზნესენსკის ქუჩა ამჟამინდელ მელიქიშვილის ქუჩას ერქვა, დონდუკოვ-კორსაკოვის – კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩას, აზიზიეს უბანი, – ამჟამინდელი თავისუფლების მოედანია, ახმედიეს – მეჩეთის მიმდებარე ტერიტორია, მუფტიესი კი ილია ჭავჭავაძის პროსპექტის დასაწყისი.

9) ნ. დაკიშევიჩი ეყრდნობა ა. კრასოვსკის დასახელებულ ნაშრომს. როგორც ჩანს, ამ ნაშრომის ავტორი გადაჭარბებულ სიფრთხილეს იჩენს, როცა ბანაობის ნებას რთავს სადილობიდან 4 საათის შემდეგ და წყალში ყოფნას მხოლოდ 3-დან 10 წუთამდე ზღუდავს. ბუნებრივია, ასეთი წესით ზღვის გამოყენება დამსვენებელს არავითარ სიკეთეს არ მოუტანს.

რაც შეეხება მზის ამოსვლამდე და მზის ჩასვლის შემდეგ ბანაობის აკრძალვას, ეს უფრო ადგილობრივი ადმინისტრაციის და სამხედრო უწყების მოგონილი უნდა იყოს, ვიდრე ჯანმრთელობისათვის საშიში. საყოველთაოდ ცნობილია, რარიგ სასიამოვნოა აისამდე და დაისის შემდეგ ზღვაში ბანაობა.

10) ნ. დაკიშევიჩმა წიგნი 120 წლის წინ დაწერა. ამ ხნის მანძილზე ჩვენს პლანეტაზე მრავალი ცვლილება მოხდა. შესაძლოა კლიმატი ბათუმშიც შეიცვალა. ამიტომ ავტორის მაშინდელი მონაცემები დღევანდელს შესაძლოა აღარ დაემთხვეს.

11). ხანდაზმულების გადმოცემით ამ ადგილს ჰქონდა ქართულად მჟღერადი მშვენიერი სახელი **გრილუბანი**, რაც რუსებმა სიტყვა-სიტყვით თარგმნეს და ხოლოდნაია სლობოდა, შემდეგ გოროდოკი უწოდეს. სასურველია შევცვალოთ ქართულისათვის უცხო ტოპონიმი და ამ ადგილებს კვლავ დავუბრუნოთ ისტორიული სახელი გრილუბანი.

12) მახინჯაურის გოგირდოვანი მინერალური წყლების მიდამოები ადრე მახინჯაურის მკვიდრ ახვლედიანებს ეკუთვნოდათ. 1881-82 წწ ეს მიწები მათგან გერმანელმა პანცერმა შეიძინა.

13) ავტორის ეს მოსაზრება მცდარია. ბათუმის ირგვლივ არ არსებობს თუნდაც ხელისგულისოდენა მწირი ადგილი. აქ, როგორც იტყვიან, ჯოხიც რომ დაარჭო, გაიხარებს.

14) გასაგებია საითკენ უქცევს ბატონი დაკიშევიჩი. „ნიადაგი მწირია", „ნიადაგი უნაყოფოა", ე.ი. გამოუსადეგარია მიწის მუშისათვის, ადგილობრივი მოსახლეობისათვის. სამაგიეროდ, ეს ადგილები „თვალწარმტაცია" და სასარგებლოა მდიდრებისათვის და გენერლებისათვის, რომელთაც ძალუძთ აქ აგარაკებისა და მდიდრული ვილების აშენება. ვფიქრობ განმარტებას არ საჭიროებს, ავტორი როგორ უპატივცემულოდ და აგდებით ეკიდება ადგილობრივ მოსახლეობას – „ტუზემცებს".

ელექტრონული ბიბლიოთეკა

15) ავტორი განაგრძობს საუბარს ადგილობრივთა შრომის უკულტურობაზე და სწუხს, რომ მიწების საკითხი კვლავ გადაუჭრელია, ე.ი. ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აჰყარეს მშობლიური ადგილებიდან ზღვის სანაპირო ზოლში მცხოვრებნი, რათა ეს მიწები მისაწვდომი გახდეს რუსი მიწათმოქმედებისათვის.

16) აჭარაში, კერძოდ ბათუმში ვეფხვის გამოჩენას ადასტურებს გაზეთ „ივერიის" კორესპონდენტი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე აბდულ მიქელაძე (1853-1919). „წლევანდელმა (1887 წ. რ.ს.) ზამთარმა უცხო ნადირებიც გვასტუმრა. თებერვლის თხუთმეტს სოფელ ნამლისევში ნახეს ორი ვეფხვი. ერთი იმათგანი მოკლეს იმ სოფელშივე... იმის ამხანაგი მეორე ვეფხვი გაიქცა ბათუმისაკენ და, როგორც ამბობენ, ბათუმის სიახლოვეს მოუკლავთ" (რამაზ სურმანიძე. აბდულ მიქელაძე. ბათუმი. 2007. გვ. 76, 77).

ეს მოვლენა თითქმის ემთხვევა ნ. დაკიშევიჩის ბათუმში ყოფნას, ამიტომ ვფიქრობ, რომ მას მხედველობაში აქვს აბდულ მიქელაძის მიერ აღწერილი ვეფხვების გამოჩენა.

17) ადგილობრივი მეტალის დამუშავების ისტორიის თვალსაზრისით ესეც საინტერესო ცნობად მიგვაჩნია. ე.ი. სოფელ ერგეში, ჭოროხის სანაპიროსთან სპილენძის სადნობი ქარხნის მშენებლობა მთავრდებოდა 1889 წელს.

18) ესაა მწვანე კონცხსა და სახალვაშოს გამყოფ ქედზე არსებული მთა დათვითავი, რომელიც ბოლო დრომდე ტყით იყო დაფარული.

19) ტექსტიდან ძნელად გასაგებია ნ. დაკიშევიჩი რომელ ავტორებს ეთანხმება: აგაფემერს,

ნ.კ. ზეიდლიცს,* დ. ბაქრაძეს, ნ. შაფრანოვას და რეალურად მოაზროვნე კლასიკოს მწერლებს, თუ მოსე ხორენელს და მისი გავლენით ისტორიული გეოგრაფიის შემრყვნელ სხვა ავტორებს. შესაძლოა მის აზრს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდეს,. მაგრამ თუ დღევანდელ მდგომარეობას და ახალ ნოტებზე მომღერალ ზოგ ვაი-მეცნიერის დამახინჯებულ დასკვნებს გავითვალისწინებთ, სწორედაც რომ აქვს მნიშვნელობა ყველა იმათი აზრის გაბათილებას, ვინც უვიცობით, ან შეგნებულად ცდილობს შეცვალოს საქართველოს ისტორიული საზღვრები და ათასი წლის წინ დაწყებულ და ათასჯერვე უარყოფილ რევიზიას წამოაყოფინოს თავი.

მეცნიერებაში ასეთ სიყალბეებს ყველგან და ყოველთვის უნდა გაეცეს პასუხი. არც ჩვენ ვაპირებთ გაჩუმებას, ამ წიგნის თარგმნის ერთ-ერთი მიზანი ესეცაა, თუმცა ეს პაექრობა ეხება არა იმდენად ისტორიაში უჩინარ და სხვის დოლზე მოცეკვავე ნ. დაკიშევიჩს, რამდენადაც თანამედროვე სომეხ მეცნიერებს, რომლებიც საქართველოს და სხვა მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების ხარჯზე, ე.წ. „დიდი სომხეთის“ აღსადგენად, ახალ შეტევას ამზადებენ. საღი აზრი ყოველთვის იმარჯვებს, ამიტომ რეაქციონერებს, ვისაც მიზნად დაუსახავს სხვის სულში, მიწა-წყალსა და ისტორიაში ხელი აფათუროს, ამჯერდაც კრახი მოელით.

---

* **ნ.კ. ზეიდლიცი**. კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის გამოცემათა რედაქტორი (1871-1890 წწ). მთარგმნელის შენიშვნა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

20) დემოსთენეს ბათუმელობაზე პირველი ცნობა გამოაქვეყნა საკმაოდ ცნობილმა ისტორიკოსმა პ. ხიცუნოვმა. იგი ამბობს: „ბათუმი ცნობილი იყო ქრისტეს დაბადებამდე 400 წლით ადრე. სახელოვანი ბერძენი კოლონისტი და ორატორი დემოსთენე (ცხოვრობდა 450-413 წწ ჩვენს ერამდე) ბათუმის მკვიდრია" (Сборн. 203. Кавказ, изд. Константинова, 2-е полугодие, 1847 г. стр. 148). ფრანგი მოგზაური და ორიენტალისტი ჟან მურიე დემოსთენეს არ ახსენებს, მაგრამ იმეორებს თეორიას ბათუმის ჩვ. წ. აღ-მდე არსებობის შესახებ: „ბათუმი ცნობილ იყო 400 წლის წინათ ჩვენს ერამდე" (ჟან მურიე. ბათუმი და ჭოროხის აუზი. ბათუმი. 1962. გვ. 22).

პ. ხიცუნოვის მოსაზრებას არ დაეთანხმა თურქი ისტორიკოსი ი. კალფოღლუ. მან უარყო ბათუმის,



**დემოსთენე**

როგორც დასახლებული პუნქტის არსებობა ძვ. წ. აღ. მე-5 საუკუნეში და ბუნებრივია აქ დემოსთენეს დაბადებაც. Вестник Кавк. отд. Росс. имп. геогр. об-ва. т.8. 1906 г. стр. 41). ავტორი რატომღაც საუბრობს დემოსთენეს ბებიის სკვითურ წარმოშობაზე, თითქოს პ. ხიცუნოვი ამ არგუმენტს ეყრდნობოდეს, სინამდვილეში მას დემოსთენეს არც ბებია და არც მისი სკვითური წარმოშობა უხსენებია. ალბათ ამ მიზეზით სამეცნიერო წრეებმა არ გაიზიარეს ი. კალფოღლუს კატეგორიული ტონი, მას ბერძნების მიმართ ტენდენციურობა დასწამეს და კვლავ გაიმეორეს, რომ: „არის ზოგი მონაცემი, რომლებიც ადასტურებენ, რომ ბათუმი ცნობილი იყო უკვე 400 წელს ქრისტეს დაბადებამდე და რომ ორატორი დემოსთენე წარმოშობით ბათუმიდანაა“ (Н. Державин. История Батумского края. Всеобщий адрес-ежегодник г. Батуми. Батум. 1906. с. 29).

ჩვენს მხრივ მხოლოდ იმას დავამატებ, რომ ბათუმსა და საერთოდ საქართველოს შავი ზღვისპირეთში ბერძნული კოლონიები მართლაც არსებობდა და ამას არავინ უარყოფს. ამიტომ დასაშვებია, რომ დემოსთენე მართლაც ბათუმში, ერთ-ერთი კოლონისტის ოჯახში დაიბადა. ჩვენ ისღა გვრჩება, რომ ჯერ შევაფასოთ, რამდენად მნიშვნელოვანია ეს მოვლენა ბათუმისათვის და შემდეგ ვიფიქროთ, ღირს თუ არა მომავალში განვაგრძოთ დემსოთენეს წარმომავლობის კვლევა-ძიება.

***რამაზ სურმანიძე***

*17 სექტემბერი 2011 წ.*

*ქ. ბათუმი*

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# საძიებლები

## ა) პირთა*

### ა

ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔᲔᲑᲘ, ბათუმის სანჯაყბეგები **35, 36**
ᲐᲑᲓᲣᲚ-ᲐᲖᲘᲖᲘ (1830-1876) ოსმალეთის სულთანი **8, 33**
ᲐᲑᲠᲐᲛᲝᲕᲘᲩᲘ, ბათუმში ხის ყუთებისა და კასრების საწარმოს თანამფლობელი **14**
ᲐᲒᲐᲤᲔᲛᲔᲠᲘ **30, 38**
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ III (1845-1894) რუსეთის იმპერატორი **10, 35**
ᲐᲜᲒᲔᲚᲓᲘᲡᲘ, ბათუმში ხისა და თუნუქის ყუთების საწარმოს მფლობელი **14**
ᲐᲠᲘᲐᲜᲔ ᲤᲚᲐᲕᲘᲣᲡ (95-175), ბერძენი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი **29**
ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲔᲑᲘ, მახინჯაურის მკვიდრი მიწათმფლობელები **37**

### ბ

ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲣᲜᲔᲑᲘ, სომხეთის მეფეთა დინასტია 885-1045 წწ. **30**
ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ Დ.Ზ. (1827-1890) ცნობილი ქართველი ისტორიკოსი **39**
ᲑᲣᲠᲙᲐᲠᲓᲢᲘ, ბათუმში ხის და თუნუქის ყუთების, კასრების ფაბრიკის მფლობელი **13**

---

* წიგნის ავტორი ნ.მ. დაკიშევიჩი საძიებელში არ არის შეტანილი (რ.ს.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გ

ГАН К.

გიორგი ალექსანდრეს ძე – რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის ნიკოლოზ II-ის ძმა **10**

გოგოლიშვილი ოთარ, წიგნის რედაქტორი **4**

გოლდიუსტი, ბათუმში კასრების საწარმოს მფლობელი **13**

გორგასალი ვახტანგ 438-502, ქართლის მეფე, თბილისის დედაქალაქად დამაარსებელი **32**

გროტი, ბათუმში საკასრე ქარხნის მეპატრონე **12**

გურიელი როსტომ (?-1564), გურიის მთავარი **32**

გუსტავ ლისტი **15**

# დ

დალფონსი, მიხაილ ე. **9, 24**

დემბოტი, ბათუმში ხისა და თუნუქის ყუთების საწარმოს მეპატრონე **14**

დემოსთენე (384-322 ჩვ.წ.აღ-მდე), დიდი ბერძენი ორატორი **30, 40, 41**

ДЕРЖАВИН Н.С. (1877-1953) ცნობილი რუსი სლავმცოდნე, ფილოლოგი, ბათუმის გიმნაზიის პედაგოგი **40**

# ე

ემინი, სომხეთის ისტორიის მთარგმნელი **30**

# ვ

ვალიდე სულთან ხანუმი – სულთან აბდულ-აზიზის დედა (ფატიმა ქუთათელაძე-ბეზმიალემ ვალიდე სულთანი, (?-1853) **8, 33, 34**

ᲕᲐᲠᲝᲜᲘ ᲚᲣᲩᲘ ᲢᲔᲠᲔᲜᲪᲘ, რომის კონსული ჩვ.წ.აღმდე 216 წ. **29**

ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ (1696-1757), ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი **31**

## ზ

ЗЕЙДЛИЦ Н.К. კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის გამოცემათა რედაქტორი (1871-1890), ბოტანიკის მაგისტრი. **29, 30, 39**

## თ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ (1170-1212), საქართველოს მეფე **28, 32**

ᲘᲐᲖᲝᲜᲘ, ბერძენი უფლისწული, კოლხი მედეას მეუღლე **29, 31**

ᲘᲚᲘᲜᲘ, ხის ყუთებისა და კასრების ქარხნის მფლობელი ბათუმში 14

ᲘᲜᲯᲘᲯᲘᲐᲜᲘ, სომეხი ისტორიკოსი 31

ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲘᲐᲡᲝᲜ, პოლკოვნიკი, მიწათმფლობელი ბათუმში **17, 35, 36**

## კ

ᲙᲐᲚᲤᲝᲦᲚᲣ Ი., თურქი ისტორიკოსი **40**

ᲙᲐᲮᲐᲑᲔᲠ ᲕᲐᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ (?-1483) აჭარისა და ჭანეთის მთავარი 1465 წ. **32**

ᲙᲝᲘᲠᲔ, ბათუმში ხე-ტყის საწყობის მეპატრონე **15**

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲕᲘ **40**

ᲙᲠᲐᲡᲝᲕᲡᲙᲘ Ა.Ს. ბათუმის კლიმატის შესახებ წიგნის ავტორი **21, 22, 36**

ᲙᲠᲘᲡᲘᲜᲘ, ბათუმში კასრების ფაბრიკის მფლობელი **14**

ᲙᲠᲝᲤᲢᲘ ᲝᲡᲙᲐᲠ, ბათუმში მინერ. წყლის ჩამოსასხმელი აპარატურის მფლობელი **15**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მ

მადათოვი, გენ. ა.პ. მადათოვის (?-1894) ძმა, ბათუმში თუნუქის ყუთების საწყობის მეპატრონე **13**

მავროპულო, ბათუმში ყუთების ქარხნის მეპატრონე **10**

მანთაშევი ა.ი. (1849-1911), თბილისელი მაგნატი, თუნუქის ყუთების საწარმოს მფლობელი **14**

მარია ფედოროვნა (1847-1928) ალექსანდრე III მეუღლე, იმპერატრიცა **10**

მელქონიანცი, ბათუმში ხისა და თუნუქის ყუთების საწარმოს მფლობელი **13**

მიქელაძე აბდულ (1853-1919) საზოგადო მოღვაწე, გაზ. „ივერიის" კორესპონდენტი აჭარიდან **38**

მიხკანიანცი, ბათუმში მინ. წყლის ჩამოსასხმელი აპარატურის მეპატრონე **15**

მნაცაკანოვი, ბათუმში თუნუქის და ხის ყუთების საწარმოს მფლობელი **13**

მურიე ჟან, ფრანგი ორიენტალისტი **40**

მურავიოვი, ბათუმში ხისა და თუნუქის ყუთების საწარმოს მფლობელი **13**

მუტაფოვი, ხის და თუნუქის ყუთების თანამფლობელი **13**

## ნ

ნეიმანი **12**

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1868-1918), რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი **10**

ნობელები, ძმები, ბათუმში – კასრების ქარხნის მეპატრონეები, ნავთობმაგნატები **19**

ნური-ბეგი (იხ. ხიმშიაშვილი ნური-ბეგი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პ


პაკიე და K⁰, პორტებში თბომავლების მფლობელი **19**

პალაშკოვსკი, ინჟინერი, ბათუმში 1882-83 წწ დადგა ნავთობის რეზერვუარები **12**

პანცერი კ.ი. მეორე გილდიის ვაჭარი. 1880 წლიდან მახინჯაურის გოგირდოვანი სამკურნალო წყლების მეპატრონე, მიწები ახვლედიანებისაგან შეიძინა **28**, **37**

პლინიუსი (23-79), გამოჩენილი რომაელი ბუნებისმეტყველი **29, 31**

პოლაკი და K⁰, სადაზღვევო საზოგადოების კანტორა **20**

პომპეუსი გნეი (106-48 ჩვ.წ. აღ-მდე), რომის მთავარსარდალი **29**


## რ


რიხნერი, ბათუმში ხის და თუნუქის ყუთების ქარხნის მეპატრონე **12**


## ს


სიმელიდისი, ბათუმში ნავთობპროდუქტების გამოსაყვანი აპარატის მფლობელი **14**

სიუარტი **14**

სიხარულიძე იური, პროფესორი, ისტორიკოსი **34**

სტეფანინი **12**

სტრაბონი (დ. 54 წ. ჩვ.წ.აღმ-დე) ძველი საბერძნეთის გამოჩენილი გეოგრაფი **31**

სურმანიძე რამაზ, მწერალი, ისტორიკოსი **38, 41**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფ

ფარნავაზი (302-237 ჩვ. წ. აღ-მდე), საქართველოს პირველი მეფე **31**

ფატიმა ( იხ. ვალიდე სულთანი)

## ქ

ქსენოფონტე (434-359 ჩვ. წ. აღ-მდე) ბერძენი ისტორიკოსი და მთავარსარდალი **31**

## შ

შაფრანოვა ნ. ისტორიკოსი **30, 39**

შებერი, ბათუმში საკასრე ქარხნის მეპატრონე **12**

შიბაევი, ბათუმში საკასრე ქარხნის მეპატრონე **12**

## ჩ

ჩერუტი ე. ხორბლის, ფოტოგენის და პალმის ხეების რეალიზაციის კანტორის უფროსი **19**

## ც

ცოვიანოვი, ბათუმში ხის და თუნუქის ყუთების საწარმოს მფლობელი **13**

## ხ

ხიმშიაშვილი ნური-ბეგ აბდის ძე (1835-1907) ბათუმის პოლიციის უფროსი, პოდპოლკოვნიკი, შავშეთ-იმერხევის მმართველი **9, 34**

ხიცუნოვი პ. ისტორიკოსი **40**

ხორენელი მოსე, სომეხი ისტორიკოსი, ტენდენციურად განიხილავს საქართველო-სომხეთის ისტორიულ საზღვრებს **30, 39**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## ბ) გეოგრაფიულ სახელთა *

### ა

ავსტრალია **24**
ავსტრია **13, 14, 18, 19**
ავსტრია-უნგრეთი **13**
აზია **30**
აზიზიე – ბათუმის უბანი **8**
აკამფსისი (ჭოროხი) **30**
ალტაის მთები **24**
ალუპკა **21**
ამერიკა **15, 18**
ამიერკავკასია **16, 18, 19**
ანგისა (მდ.) **17**
ართვინი (ოკურგი) **29, 27**
აქტურო (ფაზისი მდ.) **30**
აჭარა **30, 32, 38**
ახალშენი (სოფ.) **24**
ახმედიე – ბათუმის უბანი **8**
ახოვანკი (ჩრდ.) **30**

### ბ

ბათუმის ტბა (ნურიის) **34**
ბაიბურთი **30**
ბარცხანა (სოფ.) **10, 17, 26, 35**
ბასიანი **31**
ბაქო (გუბერნია) **18, 19**
ბაქტრიანი **29**
ბაძგირეთი (სოფ.) **27**
ბელგია **13, 14**
ბერთა (სოფ.) **26**
ბეღლევანი (სოფ.) **27**
ბეშაული (სოფ.) **27**

---

* ბათუმი თითქმის ყველა გვერდზე გვხვდება, ამიტომ საძიებელში არ შევიტანეთ (რ,ს.)

ბოსფორი (სრუტე) **29**
ბულგარეთი **14**

**გ**

განჯა (ელიზავეტპოლი) **15**
გერმანია **13, 14, 18, 20**
გონიო (უბანი) **26, 27, 28, 32**
გოროდოკი **37**
გრილუბანი (გოროდოკი, ხოლოდნაია სლობოდა) **37**
გურია **30, 31**

**დ**

დათვისთავი (მთა) **28, 38**
დანია **20**
დასამობი **27**
„დიდი სომხეთი“ **30, 39**

**ე**

ეგვიპტე **13, 14**
ევროპა **29, 30**
ელიზავეტპოლი (განჯა) **15, 18, 19**
ენი-მეჰელე **27**
ერგე (სოფ.) **27, 38**
ერევანი (გუბერნია) **18**
ერიზა (სოფ.) **30**
ესპანეთი **13**
ეწერლული (ბათუმის უბანი) **10,17**

**ვ**

ვაიო (სოფ.) **27**

**ზ**

ზემო ქართლი **31**

**თ**

თბილისი **4**
თოლგომი (მდ. ხეობა) **26**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქეთი **13, 14, 16**

**ი**

იალტა **21**
იაპონია **13, 14, 24**
იბერია **30**
იმერეთი **15, 18**
ინგლისი (დიდი ბრიტანეთი) **13, 14, 15, 18**
ინდოეთი **12, 14, 29**
ინდოჩინეთი **13, 14,**
იტალია **13, 14,. 18**

**კ**

კავკასია **19, 24, 29**
კანარის კუნძულები **24**
კარა-შალვარი (სოფ.) **27**
კასპიის ზღვა **12, 18, 29**
კასპიისპირეთი **19**
კატაფხია (სოფ.) **28**
კახეთი **15, 18**
კელასკური (სოფ.) **28**
კიკიეთი **27**
კინტრიში (უბანი) **28**
კირუ (მდ.) **29**
კლარჯეთი **32**
კოგკისი (კოლხეთი) **30**
კოლხეთი **30**
კურბინი (სოფ.) **27**

**ლ**

ლაზეთი **31**
ლიმან მეჰელე (ეწერლუღი) **10, 17, 35**
ლომაშენი (სოფ.) **26, 27**

**მ**

მაკრიალი (სოფ.) **26**
მარადიდი (სოფ.) **27**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახინჯაური (სოფ.) **24, 28, 37**
მერისი (სოფ. ხეობა) **27**
მოსხების ქვეყანა **27**
მოსხის მთები **30, 31**
მურღული (ხეობა) **26**
მუფტი-მეჰელე (მუფტიე) **10, 35**
მწვანე კონცხი (სოფ.) **38**
მცირე აზია **19**

**ნ**

ნამლისევი (სოფ.) **38**
ნიუ-იორკი **20**
ნორვეგია **7**
ნორიო **34**
ნურიე-ბათუმის უბანი და ტბა **9, 34**

**ო**

ოდესა **15, 16**
ოთინგო (სოფ.) **28**
ორთაბათუმი (სოფ.) **24, 28**
ორჯოხი (სოფ.) **27**
ოსმალეთი **35**
ოქსი (მდ. შენაკადი) **29**

**პ**

პეტერბურგი **20**
პონტო (ზღვა) **24,29**

**რ**

რაჭა **15**
რიონი (მდ.) ფარში **30, 31**
რუსეთი **13. 14, 18, 20, 32, 33, 34**

**ს**

საბერძნეთი **29**
სამება (მთა) **28**

ელექტრონული ბიბლიოთეკა


სამხრ. ამერიკა **24**
სანქტ-პეტერბურგი **19, 20**
საფრანგეთი **13, 14, 18, 19**
საქართველო **31, 39, 41**
საქართველოს შავიზღვისპირეთი **41**
სახალვაშო (სოფ.) **38**
სერბია **14**
სვირი (ყვირილა) **15**
სიკარი (მდ.) **29**
სინკოტი (სოფ.) **27**
სირია **13**
სკურკუბა (მდ.) **23, 26**
სმეკალოვკა (ქობულეთი) **34**
სომხეთი **31**
სოუქ-სუ (ცივი წყალი) **23**
სოხუმი **26**
სპარსეთი **18, 19**
სპერი **30**
სტეპანოვკა (დედაბერა) **34**

## ტ

ტკიში **31**
ტრაპიზონი **31, 32**

## ფ

ფაზისი (მდ.) (აქტური) **29, 30 31**
ფარში (იხ. რიონი)

## ქ

ქედა (დაბა) **28**
ქერჩი **15**
ქვემო აჭარა **27, 28**
ქუთაისი (გუბერნია) **18**

## ყ

ყარა-დერე (სოფ.) **24**
ყოროლისთავი (სოფ. მდ.) **23, 24, 26, 28**

## შ

შავი ზღვა **12, 18, 26, 29**
შავშეთი **27**
შავშეთ-იმერხევი **34**
შვეცია

## ჩ

ჩელტა (სოფ.) **28**
ჩინეთი **13, 14, 24**
ჩრდ. ამერიკა **24**
ჩხალთა (სოფ.) **27**

## ც

ცოცხობა (სოფ.) **28**

## ძ

ძანსული (სოფ.) **27**

## წ

წყალ-თეთრი (სოფ.) **27**

## ჭ

ჭანეთი **32**
ჭარნალი (სოფ.) **27**
ჭოროხი (მდ.) (აუზი) **23, 25, 26, 27, 28, 30, 31, 32, 38**

## ხ

ხატილა (ხეობა) **27**
ხახტიკა **31**
ხოთი (სოფ.) **27**
ხოლოდნაია სლობოდა (გრილუბანი) **23**
ხუცუბანი (სოფ.) **28**

## ჰ

ჰიმალაი **24**
ჰოლანდია **13**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რამაზ სურმანიძის წიგნები (1969-2011)

### (საქართველოს ისტორია)

1. **დაუვიწყარი სახეები.** გ-ბა „საბჭოთა აჭარა“, 1969, 106 გვ. ტირაჟი 5000
2. **გიორგი ხეჩინაშვილი**. გ-ბა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970. 41 გვ. ტირაჟი 1000
3. **ჯანმრთელობის დაცვის სათავეებთან**. გ-ბა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1972. 120 გვ. ტ. 2000
4. **მცირე კარაბადინი. I ნაწ**. გ-ბა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1974. 100 გვ. ტ. 2000
5. **Общество врачей Аджарии и русско-грузинские медицинские связи**. Из-во «Сабчота Аджара», Батуми, 1978. 186 стр. т. 2000.
6. **Развитие советского здравоохранения в Аджарской АССР**. И-во «Сабчота Сакартвело», Тбилиси, 120 ст. 1982. т. 100.
7. **ტრაქტატის თანაავტორი**. გ-ბა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1983, 124 გვ. ტ. 3000.
8. **შუქი ნათლისა (აკაკი)**, გ-ბა „აჭარა“, ბათუმი, 60 გვ. 1985, ტ. 10 000 (თანაავტორი აბელ სურგულაძე).
9. **მცირე კარაბადინი**. II ნაწ. გ-ბა „აჭარა“, ბათუმი, 1991, 216 გვ. ტ. 25000.
10. **ქართული კარაბადინი (მე-18 ს.)** გ-ბა „ალიონი“, ბათუმი, 1996, 248 გვ. ტ. 1000
11. **რეგიონული მედიცინის განვითარება საქართველოში**, ტ. I, 2001, 426 გვ. ტ. 300; ტ. II, 2003; 524 გვ. ტ. 300, გ-ბა „აჭარა“

12. **მელიქიშვილები**. ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის გ-ბა, თბილისი, 2003, 176 გვ. ტ. 250
13. **ნაცნობი და უცნობი თედო სახოკია**, გ-ბა „აჭარა“, ბათუმი, 2004, 132 გვ. ტ. 500
14. **მფარველი ანგელოზები**, გ-ბა „აჭარა“. ბათუმი, 2005, 244 გვ. ტ. 1000
15. **რაც მტრობას დაუნგრევია,** გ-ბა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2006, 48 გვ. ტ. 100
16. **გენერალ-ლეიტენანტი თერგდალეულთა თაობიდან (გიორგი ყაზბეგი)**, გ-ბა „ალიონი“, ბათუმი, 2006, 50 გვ. ტ. 300
17. **ოღონდ სამშობლო იყოს (მემედ გოგიბერიძე)**, „პოლიგრაფსერვისი“, 93 გვ. ბათუმი, 2006, ტ. 300
18. **თემურ-ბეგ ხიმშიაშვილი**, გ-ბა „ალიონი“, ბათუმი, 2006, 44 გვ. ტ. 300
19. **თავადაზნაურობა და მათი ოჯახები ბათუმის ოლქში (1912 წ.)** გ-ბა „გლობალ-პრინტი“, თბილისი, 2007, 296 გვ. ტ. 1000
20. **აბდულ მიქელაძე**. გ-ბა „ჭოროხი“, ბათუმი, 2007, 175, გვ. ტ. 300
21. **თეთროსანი**. გ-ბა „ალიონი“, ბათუმი, 2007, 126 გვ. ტ. 300
22. **გიორგი ყაზბეგის მოგზაურობისას ტბეთში მოპოვებული დოკუმენტები**, ბათუმი, 2008, 44 გვ. ტ. 300
23. **ივანე ანდრონიკაშვილი, ბათუმის ქალაქისთავი** (1902-1916), გ-ბა „ინოვაცია“, თბილისი, 2010, 150 გვ. ტ. 500
24. **ჩარკვიანები,** გ-ბა „კვარი“, თბილისი, 2010, 142 გვ. ტ. 500
25. **აფხაზები აჭარაში**, „პოლიგრაფსერვისი“, ბათუმი, 2010, 80 გვ. ტ. 500
26. **ავალის შთამომავალნი (ავალიან-ავალიშვილთა გვარის ისტორია)**, გ-ბა „კვარი“, თბილისი, 2011, 404 გვ. ტ. 300
27. **ლუკა ასათიანი. ბათუმის ქალაქისთავი (1895-1901)**. გ-ბა „ფავორიტი“, თბილისი. 2011. 204 გვ. ტ. 1000

## თარგმანები

### (საქართველოს ისტორია)

1. **ვ. ჯიფორდ პალგრევის ანგარიშები ანატოლიის პროვინციებზე 1867-1868, 1864 და 1872 წლებში**.
   თარგმანი ხელნაწერის სახით ინახება ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში. 1969 წ. ИКОИРГО т. VII. Тифлис. 1882-1883 гг.
2. **გიორგი ყაზბეგი**. **სამი თვე თურქეთის საქართველოში.** თანაგამომცემელი მამია ხარაზი. ბათუმი. 1995 წ.
3. **ნ.მ. დაკიშევიჩი**. **ბათუმი**. ბათუმი. 2011 წ.

# სარჩევი

წინასიტყვაობა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5
ბათუმი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 7
ზოგიერთი ისტორიული ამონაწერი . . . . . . . . . . . 42
მთარგმნელის შენიშვნები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 43
საძიებელი
ა) პირთა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 55
ბ) გეოგრაფიული სახელთა . . . . . . . . . . . . . . . . 61
რამაზ სურმანიძის წიგნები (1969-2011)
(საქართველოს ისტორია) . . . . . . . . . . . . . . . . 67
თარგმანები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 69

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი **ოთარ გოგოლიშვილი**

ოპერატორი **ნაზიბროლა სურგულაძე**

დამკაბადონებელი **ანაიდა ავეტისიანი**

კორექტორი **ნანი გორგაძე**

ფოტოკოლექცია **შოთა გუჯაბიძისა**

ფოტორეპროდუქციები **ზურაბ სურმანიძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა